პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 13 მაისი, 1947 წ. № 95 (7879). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში — „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს კომკავშირი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შეფია (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
ს. ლარცულიანი — პარტიის მეხუთე ყრილობის 40 წლისთავი (მე-2 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში

ყოველთვის, როცა ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე ახალი დიდი ამოცანები წამოიჭრებოდა, ბოლშევიკური პარტია სოფლად ჰგზავნიდა ათასობით თავის საუკეთესო მუშაკს. ასე იყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წლებში, როცა პარტიამ ქალაქიდან სოფლად გაგზავნა ბოლშევიკების ოცდახუთი ათასიანი რაზმი. ასე იყო ახალგაზრდა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის ბრძოლის წლებში, როცა პარტიამ შექმნა მტს-ების პოლიტგანყოფილებანი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს კოლმეურნეობათა ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევაში. ასეა საქმე ახლაც, როცა პარტია გაშლილ შეტევას აწყობს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად მტს-ებში შემოღებულია თანამდებობა დირექტორის მოადგილისა პოლიტიკურ ნაწილში. ამ სამუშაოზე პარტიული ორგანოების მიერ უკვე შერჩეულია პოლიტიკურად მტკიცე, პარტიის საქმის, სოციალიზმის საქმის ერთგული ათასობით ბოლშევიკი, რომლებსაც აქვთ ხელმძღვანელი პარტიული საქმიანობის დიდი გამოცდილება, გამოწრთობილი არიან ომიანობის დროის სიძნელეებთან ბრძოლაში.

საკოლმეურნეო მშენებლობის წლებში განუზომლად გაფართოვდა და განმტკიცდა ბოლშევიკური პარტიის კავშირი გლეხობის მასებთან. შეიქმნა მრავალმილიონიანი კადრები საკოლმეურნეო აქტივისა, რომელიც სოციალისტური სოფლის მეურნეობის ოქროს ფონდს შეადგენს. სოფლად გაიზარდა ფართო ქსელი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც ასიათასობით კომუნისტს აერთიანებენ. მარტო ომის პერიოდში და ომისშემდგომ წლებში კომუნისტების რაოდენობა სოფლად გაიზარდა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, ხოლო საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების რიცხვი ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. პარტიულ მუშაკთა ახალი რაზმის გაგზავნა სოფლად კიდევ უფრო განამტკიცებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ კადრებს, საშუალებას მოგვცემს უფრო ავამაღლოთ მათი როლი სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ომისშემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

სოფლად ბოლშევიკური პარტიის ახალი წარგზავნილნი იმუშავებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში. ეს გასაგებიცაა. მტს-ები წამყვანი ძალაა სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი აღმავლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში. მტს-ების სატრაქტორო პარკის სიმძლავრე შეადგენს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობების გამწევი ძალის საერთო ბალანსის 58 პროცენტს. ვოლგისპირეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთ კავკასიის ოლქებში მტს-ების ტრაქტორთა ხვედრითი წონა გამწევი ძალის ბალანსში კიდევ უფრო დიდია. მაგრამ მრავალი მტს-ის მუშაობას, როგორც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, დიდი ნაკლოვანებანი ახლავს. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა ტრაქტორებისა და სხვა მანქანების არასაკმაო გამომუშავებას, სუსტ ბრძოლას უხვი მოსავლისათვის, მტს-ებისა და კოლმეურნეობათა ხელშეკრულებო ვალდებულებათა დაუცველობას.

პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი ბევრ რაიონში არის ამა წლის საგაზაფხულო თესვის დროსაც. „პრავდაში“ უკვე იყო ცნობა პენზისა და ჩკალოვის ოლქების, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების მრავალი მტს-ის ცუდი მუშაობის ფაქტების შესახებ; იქ ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ტრაქტორთა საშუალო გამომუშავება ცვლაში, იშვიათი არ არის თესვისწინა დამუშავებისა და თესვის დაბალი ხარისხის შემთხვევა, არის კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების უხეში დარღვევის შემთხვევები.

პოლიტიკურ ნაწილში დირექტორის მოადგილის პირველი და მთავარი ამოცანა ის არის, რომ მიაღწიოს მტს-ის მუშაობაში ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფოს. პოლიტიკურ ნაწილში დირექტორის მოადგილეებმა, როგორც ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში, უნდა **„მიაღწიონ მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებას, უზრუნველჰყონ მტს-ებსა და კოლმეურნეობათა შორის სწორი ურთიერთობა, უნდა იდგნენ იმის სადარაჯოზე, რომ კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა მტკიცედ დაიცვან ხელშეკრულებო ურთიერთობა, რომ ამ ურთიერთობაში არ იყოს როგორც მტს-ების, ისე კოლმეურნეობათა მუშაობის ნაკლოვანებათა ურთიერთდაფარვა“.**

მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში მოვალეა იდგეს სახელმწიფოს, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესების სადარაჯოზე. მის ხელში კოლმეურნეობებთან მტს-ის ხელშეკრულება უნდა გახდეს უხვი მოსავლისათვის, კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღი.

პოლიტიკურ ნაწილში დირექტორის მოადგილის მთელი ძალღონე მიმართული უნდა იყოს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში მტს-ის როლის ამაღლებისაკენ. ამჟამად, გაცხარებული საგაზაფხულო თესვის დროს, ყველაფერს სწყვეტს მჭიდრო ვადები და სატრაქტორო სამუშაოთა მაღალი ხარისხი. მაღალი ტემპით აწარმოოს თესვის სამუშაოები, ყოველდღიურად გაადიდოს ტრაქტორის გამომუშავება ცვლაში, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას აგროტექნიკური წესების გადახვევა, — აი რა მოეთხოვება მტს-ის პარტიულ ხელმძღვანელს. ამისათვის კი საჭიროა მივაღწიოთ სატრაქტორო ბრიგადების სამეურნეო და ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესებას, მოვუწყოთ ტექნიკური დახმარება ახალგაზრდა ტრაქტორისტებს, დავაწესოთ სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხის კონტროლი.

პოლიტიკურ ნაწილში მტს-ის დირექტორის მოადგილეს შეუძლია და კიდევაც უნდა დაინტერესდეს კოლმეურნეობებში საქმის მდგომარეობით. თუ კოლმეურნეობაში საქმე ცუდად მიდის, თუ კოლმეურნეობა თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს არ ასრულებს, მან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს წესრიგისაკენ უნდა მოუწოდოს. თუ კოლმეურნეთა ჩამორჩენილი ნაწილი შრომის დისციპლინას არღვევს და ამით ზიანს აყენებს საერთო საკოლმეურნეო საქმეს, მან გვერდი კი არ უნდა აუაროს ამ ფაქტებს, არამედ იბრძოლოს მათი აღმოფხვრისათვის.

სწორი არ იქნება იმის ფიქრი, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მტს-ებსა და კოლმეურნეობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სერიოზულად გაუმჯობესებლად. დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში პარტიული მუშაკია, რომელიც დაყენებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს უბანზე. იგი მასების ორგანიზატორი და აღმზრდელია, რომელიც თავის მუშაობაში პარტიულ ორგანიზაციებს ემყარება. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად აღნიშნა, რომ **„მტს-ების დირექტორების მოადგილეებმა პოლიტიკურ ნაწილში უნდა უზრუნველჰყონ მტს-ების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესება, გააჩაღონ პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა ტრაქტორისტებსა, კომბაინერებსა და მტს-ების სხვა მუშაკთა შორის“.**

მტს-ის პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკურ ნაწილში დირექტორის მოადგილის საიმედო დასაყრდენია. მისი მოვალეობაა ყოველმხრივ აამაღლოს პარტორგანიზაციის როლი მტს-ის ცხოვრებაში. მხოლოდ იმ პირობით, თუ პარტიული ორგანიზაციები ავანგარდის როლს შეასრულებენ მტს-ის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, თუ პარტიული ორგანიზაციის თვითეული წევრი გახდება სატრაქტორო პარკის მაღალნაყოფიერი გამოყენებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის მოწინავე მებრძოლი,—მხოლოდ ამ პირობით დასძლევს თავის მოვალეობას დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში. ამისათვის კი უნდა მივაღწიოთ პარტორგანიზაციების პოლიტიკურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას, კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის დარგში მუშაობის გაძლიერებას. საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო მტს-ის მუშაობაში პარტიულ ორგანიზაციათა ჩაურევლობის პრაქტიკას. პარტორგანიზაციამ ერთმმართველობის პრინციპის დაურღვევლად, ყოველდღიურად და უნარიანად უნდა განახორციელოს სამეურნეო ხელმძღვანელთა საქმიანობის კონტროლის უფლება, რაც მას მინიჭებული აქვს.

მტს-ის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად დირექტორის მოადგილე უწინარეს ყოვლისა უნდა გამოდიოდეს როგორც სოციალისტური შეჯიბრების ბოლშევიკი ორგანიზატორი. მისი მოვალეობაა განუწყვეტელი ბრძოლა აწარმოოს მაღალი ორგანიზებულობისა და შრომის მტკიცე დისციპლინისათვის, დაუდევრობის, ცუღლუტობის, თავისი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი მოპყრობის ყოველგვარ გამოვლინებათა გადაჭრით აღმოფხვრისათვის. უნდა მოეწყოს მოწინავე გამოცდილების ფართო პროპაგანდა. მიღწეულ იქნას მტს-ის ყველა მუშაკის აყვანა შეჯიბრების მოწინავეთა დონემდე, გასაგებად უნდა იქნას განმარტებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უხვი მოსავლიანობის მოწინავე მებრძოლთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების და ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ.

პოლიტიკურ ნაწილში მტს-ების დირექტორთა მრავალი მოადგილის მუშაობის პირველი ნაბიჯები მოწმობენ, რომ მათ სწორად გაუგიათ თავიანთი ამოცანები. „პრავდაში“ უკვე იყო ცნობა კუიბიშევის ოლქის ბეზენჩუკის მტს-ის დირექტორის მოადგილის პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ანდრეევის მუშაობის გამოცდილების შესახებ. მან თავისი საქმიანობა დაიწყო მტს-ის პარტიული ორგანიზაციის განმტკიცებით, სატრაქტორო ბრიგადებში კომუნისტების სწორი განაწილებით, ტრაქტორისტთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით და პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის მოგვარებით.

პოლიტიკურ ნაწილში მტს-ის დირექტორის თვითეული მოადგილის მუშაობის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შესძლებს იგი პარტიული ორგანიზაციის გარშემო დარაზმოს მტს-ის მუშაკთა მთელი მასა, გამოიყვანოს ისინი მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის, მათი მომსახურების კოლმეურნეობებში უხვი მოსავლისათვის საბრძოლველად. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის ბრძოლის წლებში მტს-ების პოლიტგანყოფილებათა ძალას წარმოადგენდა მტკიცე ყოველდღიური კავშირი მასებთან და პირველ რიგში აქტივთან. მხოლოდ მასებთან მტკიცე კავშირით მოიპოვებენ თავიანთ ძალას მტს-ების დირექტორთა მოადგილეებიც პოლიტიკურ ნაწილში. პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების მოვალეობაა სწორად წარმართონ მათი საქმიანობა, გულისხმიერად მოეკიდონ მათს სიგნალებს, დროულად გაუწიონ დახმარება.

მტს-ების დირექტორთა მოადგილეები პოლიტიკურ ნაწილში თავიანთ პასუხსაგებ მოვალეობათა შესრულებას იმ მომენტში შეუდგნენ, როცა მთელი საბჭოთა გლეხობა თავდადებით შრომობს მინდვრებში, როცა გმირული ბრძოლაა გაჩაღებული უხვი მოსავლისათვის, საფუძველი ეყრება სოფლის მეურნეობის აღმავლობას. ამჟამად ყველაზე უფრო საპატიო და კეთილშობილური ამოცანაა მასების შრომითი აღფრთოვანების სათავეში ჩადგომა, საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩასატარებლად ამ მასების ენერგიის წარმართვა. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ მტს-ების დირექტორთა მოადგილეები პოლიტიკურ ნაწილში იმ პასუხსაგები ამოცანების ღირსი აღმოჩნდებიან, რომლებსაც მათ პარტია აკისრებს.

„პრავდის“ 11/V მოწინავე

ჰიმნი „ჰეი, სლავებო!“

კიევი, 11 მაისი. (საქდესი). ბელგრადში გასული წლის დამლევს შემდგარი სრულიად სლავთა კონგრესის მონაწილემ, უკრაინელმა პოეტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა მაქსიმ რილსკიმ დასწერა საზეიმო სლავური ჰიმნი „ჰეი, სლავებო!“ ჰიმნის მუსიკა ეკუთვნის სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს კომპოზიტორ ლევ რევუცკის.

ჰიმნი „ჰეი, სლავებო!“ დიდი წარმატებით შეასრულა ამას წინათ კიევში უკრაინული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა. ჰიმნი თავის რეპერტუარში შეიტანა დამსახურებულმა კაპელამ „დუმკამ“. პოეტმა ბორის ტურგანოვმა რუსულ ენაზე სთარგმნა იგი. უახლოეს ხანში ჰიმნი გადაითარგმნება სხვა სლავ ხალხთა ენებზე.

გამომუშავებულია ორჯერ მეტი შაქარი, ვიდრე შარშან

ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხანამ (დირექტორი ამხ. ნანეიშვილი, მთავარი ინჟინერი ამხ. ჟორჟოლაძე) დაამთავრა შაქრის ხარშვის სეზონი. ამ სეზონში ქარხანამ გადაამუშავა 1.131.790 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ნაცვლად წინა სეზონში გადამუშავებული 763.424 ცენტნერისა და ქვეყანას მისცა 727 ვაგონი შაქარი, ნაცვლად წინა სეზონში გამომუშავებული 360 ვაგონი შაქრისა. ამავე დროს საწვავის ხარჯვა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობასთან შედარებით შემცირებულია 0,5 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიისა—6 პროცენტით. წარმოებაში შაქრის დანაკარგი შემცირებულია 1,05 პროცენტით, ჭარხლიდან პროდუქციის გამოსავლიანობა გადიდებულია 3,25 პროცენტით და შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 35 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივის მიღწევები აგრეგატების გულდასმით შეკეთების, შრომის რაციონალურად მოწყობის და სტახანოვური შრომის მეთოდების ფართოდ დანერგვის შედეგია. შაქრის ხარშვის ახალი სეზონისათვის მზადებას ქარხნის კოლექტივი უკვე შეუდგა.

ქარხნის კოლექტივს ნაკისრი აქვს 1947 წლის ბოლოსათვის გამოიმუშაოს და სამშობლოს მისცეს იმდენი შაქარი, რამდენიც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1950 წლისათვის.

ჩაის ფოთლის კრეფა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაისის მეორე ხუთდღიურში მოკრეფილია 934,4 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად პირველ ხუთდღიურში მოკრეფილი 458,1 ტონისა. სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია 7,1 პროცენტით, აპრილისა და მაისისა კი—28,5 პროცენტით. სულ 10 მაისისათვის დამზადებულია 2.128 ტონა ჩაის ფოთოლი (შარშან ამ დროს დამზადებული იყო 104,1 ტონა).

ბათუმის რაიონში აპრილ-მაისის გეგმა შესრულებულია 21,9 პროცენტით, ქობულეთის რაიონში—5,9, გალის—35,6, ოჩამჩირის—43,5, გულრიფშის—108,3, სოხუმის—61,5, გუდაუთის—41,0, მახარაძის—12,4, ჩხატაურის—28,8, ლანჩხუთის — 35,2, სამტრედიის—57,1, წულუკიძის—79,0, ქუთაისის—77,7, წყალტუბოს—121,9, ტყიბულის—38,3, ცხაკაიას—46,7, აბაშის—56,7, გეგეჭკორის—42,3, ზუგდიდის—25,6, წალენჯიხის—62,1, ჩხოროწყუს—27,7, ხობის—43,4, ჩხარის—108,2, ზესტაფონის რაიონში—102,0 პროცენტით.

ქობულეთის, მახარაძის, წყალტუბოსა და ქუთაისის რაიონების ცნობები არასრულია.

მოძრაობის ახალი განრიგი ყირიმ-კავკასიის საექსპრესო ხაზზე

ბათუმი, 12 მაისი. ყირიმ-კავკასიის საექსპრესო ხაზის თბომავლები „ვიაჩესლავ მოლოტოვი“, „პობედა“ და „უკრაინა“, რომელნიც ოდესას და ბათუმს შორის დადიან, პირველი მაისიდან გადავიდნენ საზაფხულო განრიგით მუშაობაზე. თბომავლები ბათუმში მოვლენ ხუთდღიურში ერთხელ და მეორე დღეს გაემართებიან ოდესისაკენ. რეისს ბათუმიდან ოდესამდე სოხუმის, სოჭის, ნოვოროსიისკისა და სევასტოპოლის ნავსადგურებში შევლით თბომავლები საშუალოდ ანდომებენ 3¼ დღე-ღამეს.

1 მაისს დაიწყო რეგულარული სამგზავრო მიმოსვლა საზაფხულო განრიგის მიხედვით ნოვოროსიისკ-ბათუმის საკურორტო ხაზზე. გემები „პესტელი“ და „ორიონი“, რომელნიც ამ ხაზზე დადიან, ყოველთვიურად ჩაატარებენ ექვს-ექვს რეისს ბათუმსა და ნოვოროსიისკს შორის ფოთის, სოხუმის, სოჭის და ტუაფსეს ნავსადგურებში შევლით. (საქდესი).

საქართველოს კომკავშირი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შეფია

მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირმშოს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მნიშვნელობა დიდია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. ამიტომ ქარხნის მშენებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საკავშირო მთავრობა, მთელი ქართველი ხალხი.

მშენებლები თავდადებით შრომობენ, რათა უზრუნველჰყონ ქარხნის მშენებლობის დავალებათა შესრულება. მუშათა ძირითად კადრს აქ ახალგაზრდობა შეადგენს. ამიტომ საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა კომკავშირმა შეფობა აიღოს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა საქართველოს კომკავშირის განსაკუთრებული მზრუნველობის ობიექტი იქნება. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები ფართოდ დარაზმავენ ახალგაზრდობას ქარხნისათვის საჭირო დანადგარების, საშენი მასალის დროულად მიწოდებისათვის, მშენებლობაზე შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის. საწარმოებში, რომლებიც ასრულებენ მეტალურგიული ქარხნის შეკვეთებს, შეიქმნება კომკავშირულ-ახალგაზრდული „საშეფო ბრიგადები“. მათ უნდა უზრუნველჰყონ შეკვეთების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულება. მშენებლობისათვის საჭირო დანადგარებისა და მასალების დროულად მიწოდების უზრუნველსაყოფად რკინიგზის სადგურებზე, მოძრაობის განყოფილებებთან შეიქმნება კომკავშირული საკონტროლო საგუშაგოები. კავშირგაბმულობისა და ელექტროგაყვანილობათა ქსელის მეთვალყურეობა, რემონტისათვის კავშირგაბმულობის დაწესებულებათა და სასწავლებლების კომკავშირული აქტივისაგან ჩამოყალიბდება მეკავშირეთა სპეციალური ბრიგადები და ჯგუფები.

ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სამშენებლო მოედანზე და ქარხანასთან სამრეცხაოსა და აბანოს დროებითი ნაგებობებისა და წყლის შხაპების მოწყობაში. ქარხნის ტერიტორიის გამწვანებისა და წესრიგზე მოყვანისათვის, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრებისათვის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ითვალისწინებს რუსთავის ახალგაზრდობის კვირაობათა მოწყობას და მოსწავლეთა შეფობას ხეივნების, ბაღების, მწვანე ნარგავების გაშენება-პატრონობისადმი.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე მომუშავე ახალგაზრდათა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების უზრუნველსაყოფად საუკეთესო ბრიგადებისა და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშები.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ითვალისწინებს მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდა მშენებელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლის ფართო გეგმას. საქარხნო კლუბისა და საზაფხულო ესტრადის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რუსთავის რაიონის ახალგაზრდობა. ყოველმხრივი დახმარება გაეწევა კომბინატში მხატვრული თვითშემოქმედებითი წრეების შექმნას, ხოლო მუშაობის მაღალ მხატვრულ დონეზე დაყენებაში მათ დაეხმარებიან თბილისის თეატრების, კონსერვატორიის, ხალხური შემოქმედების სახლის კომკავშირული ძალები. მშენებელთა კულტურული მომსახურების მიზნით გაიგზავნება მხატვრული და საკონცერტო ბრიგადები თბილისის უმაღლესი სასწავლებლებიდან, ტექნიკუმებიდან, სკოლებიდან, თეატრებიდან, სკოლისგარეშე დაწესებულებებიდან. მოეწყობა რუსთავის ახალგაზრდობის ექსკურსიები დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად, მათი შეხვედრები თბილისის საწარმოების ახალგაზრდა მუშებთან. ახალგაზრდობის შეხვედრები დედაქალაქის მოწინავე ადამიანებთან, ინჟინერ-ტექნიკოსებთან, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილ ადამიანებთან, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან მოეწყობა აგრეთვე თვით რუსთავში.

ახალგაზრდობის ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ფართოდ მოეწყობა მეტალურგიული ქარხნის მნიშვნელობის პოპულარიზაცია. ახალგაზრდობისათვის გაიმართება საუბრები, ლექციები და მოხსენებები ქარხნის მნიშვნელობაზე. ქარხნისა და მშენებლობის კოლექტივი უზრუნველყოფილ იქნება ახალგაზრდობის ჟურნალ-გაზეთებითა და სათანადო ლიტერატურით. დახმარება გაეწევა სამკითხველოებს, ბიბლიოთეკებს, წითელ კუთხეებს. მშენებლობაზე მომუშავე ახალგაზრდობისათვის კომკავშირელთა და ახალგაზრდათა შორის შეგროვდება მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. თბილისიდან რუსთავში სისტემატურად გაიგზავნებიან კომკავშირელი აქტივისტები, რომლებიც მშენებლობაზე მომუშავე ახალგაზრდობისათვის წაიკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს.

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მთელ რიგ სხვა ღონისძიებებსაც ითვალისწინებს, კერძოდ, დახმარებას ახალგაზრდობის ტექნიკურ სწავლებაში, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში, ქარხანაში მთელი კომკავშირული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველჰყონ მეტალურგიული ქარხნისადმი შეფობის მნიშვნელობის გაცნობა თვითეული კომკავშირელისა და ახალგაზრდისათვის და 25 მაისამდე დასახონ საშეფო მუშაობაში მათი მონაწილეობის კონკრეტული გეგმა.

საქართველოს ახალგაზრდობის გაზეთებს „ახალგაზრდა კომუნისტს“, „მოლოდოი სტალინეცს“ და „ნორჩ ლენინელს“ დავალებული აქვთ ფართოდ გააშუქონ რუსთავის ქარხნის მშენებლობის მიმდინარეობა, ახალგაზრდობის მუშაობა, საშეფო მუშაობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა. გარდა ამისა, მათ ევალებათ დრო და დრო მოაწყონ რუსთავში გამსვლელი რედაქციები, გაზეთის მკითხველთა კონფერენციები, გამოუშვან რაიონის ახალგაზრდობის ცხოვრებისა და შრომითი წარმატების ამსახველი ფურცლები და ბიულეტენები.

საქართველოს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პატრიოტული ვალია უზრუნველჰყონ შეფობასთან დაკავშირებით ნაკისრ სამუშაოთა ბოლშევიკური შესრულება და ამით დაეხმარონ უდიდესი სამრეწველო გიგანტის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლებს დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში.

თბილისის მრეწველობამ შეასრულა აპრილის გეგმა

ქალაქ თბილისის მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების 1947 წლის აპრილის გეგმა შეასრულა 106,6 პროცენტით, ხოლო ოთხი თვის გეგმა 102,9 პროცენტით.

აფხაზეთმა შეასრულა სიმინდის თესვის გეგმა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, რომლებიც წარმატებით ასრულებენ დიდი სტალინისათვის მიცემულ პირობას, 10 მაისისათვის დათესეს 30.707 ჰექტარი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30.700 ჰექტარისა. დაწყებულია ნათესების თოხნა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნა მიხეილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი, ხოლო საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრის პირველ მოადგილედ გრიგოლ დავითის-ძე ქორქიკაშვილი.

უკანასკნელი ცნობები

ბერლინში საბჭოთა მეომრების საფლავის გვირგვინებით შემკობა

ბერლინი, 11 მაისი. (საქდესი). 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულის დღეს, ბერლინის ბრძოლების დროს დაღუპულ საბჭოთა მებრძოლების ძეგლთან თავი მოიყარა საბჭოთა არმიის ათასობით ჯარისკაცმა და ოფიცერმა, აგრეთვე გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის დაწესებულებათა მოსამსახურეებმა. შეკრებილებმა გვირგვინებით შეამკეს საფლავი საბჭოთა მეომრებისა, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საბჭოთა კავშირის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის აჩესონის გადადგომა

ვაშინგტონი, 12 მაისი. (საქდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ პრეზიდენტმა ტრუმენმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის აჩესონის გადადგომა, რაც ძალაში შევა 30 ივნისს. აჩესონის ადგილზე იქნება სამხედრო მინისტრის ყოფილი თანაშემწე ავიაციის საქმეებში ლოვეტი.

ლოვეტი დაკავშირებულია საბანკო ფირმა „ბრაუნ ბრაზერს, ჰარიმან ენდ კომპანისთან“ და მჭიდრო ურთიერთობა აქვს ვაჭრობის მინისტრ ჰარიმანთან.

თეთრი სახლის მდივანმა როსმა უპასუხა პრესის წარმომადგენელთა კითხვებზე და განაცხადა, რომ, მისი აზრით, ლოვეტი 1 ივლისამდე აჩესონთან ერთად გაეცნობა იმ პრობლემებს, რომლებზეც სახელმწიფო დეპარტამენტი მუშაობს.

ანკარაში ამერიკის სამხედრო მისიის მომავალი ჩამოსვლის გამო

ლონდონი, 12 მაისი. (საქდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, მომავალი კვირის დამდეგს ანკარაში ჩავა ამერიკის სამხედრო მისია.

მღელვარება ადგილგადანაცვლებულ პოლონელთა ბავარიის ბანაკში

ლონდონი, 12 მაისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ფრანკფურტიდან გადმოგვცემს, დენის სააგენტო იუწყება ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის განცხადებას და იუწყება, რომ 11 მაისს ბავარიის ქალაქ ალშტადტში (ამერიკის საოკუპაციო ზონა) ადგილგადანაცვლებულ პოლონელთა ბანაკში დაიწყო მღელვარება; ამერიკის სამხედრო პოლიციამ ცრემლმდენი გაზი და სასროლი იარაღი იხმარა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ.

სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება:

1. **არსენიშვილს** იონა მიხეილის-ძეს— ქუთაისის მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
2. **ახვლედიანს** სერგი სარიდანის-ძეს — თბილისის 23-ე ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
3. **ბაბალოვს** გრიგოლ ისაიას-ძეს — გორის რაიონის ტირძნისის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
4. **ბახტაძეს** დარია ნიკოლოზის ასულს — წულუკიძის ქალთა რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
5. **ბერიძეს** აგრაფენა იროდიონის ასულს — თბილისის მე-2 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
6. **გაჩეჩილაძეს** ალექსანდრე გრიგოლის-ძეს — თბილისის მე-9 ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორს.
7. **გელაშვილს** იაკინთე სიმონის-ძეს — თბილისის 24-ე ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
8. **გოგიჩაიშვილს** ბენიამინ ნესტორის-ძეს — თბილისის 29-ე ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
9. **გულისაშვილს** ნადეჟდა პავლეს ასულს — საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
10. **დარჩიაშვილს** ელენე რაჟდენის ასულს — სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
11. **დოლიძეს** თინათინ ერმალოზის ასულს — თბილისის მე-20 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
12. **ვარაზაშვილს** სერგი ნიკოლოზის-ძეს — თბილისის 21-ე ქალთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
13. **ზგურსკაიას** მარიამ ალექსანდრეს ასულს — თბილისის რკინიგზის მე-4 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
14. **თავდგირიძეს** მარიამ მიხეილის ასულს — გორის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
15. **თიბილოვას** ანასტასია გაბრიელის ასულს — სტალინირის ქალთა რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს.
16. **თოდუას** ეკატერინე ექვთიმეს ასულს — ქუთაისის მე-6 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
17. **თოფურიძეს** ოლღა სპირიდონის ასულს — ქუთაისის მე-10 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
18. **ისაევას** ბარბარე ვასილის ასულს — ბათუმის მე-3 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
19. **კვეკვესკირს** მაქსიმე სიმონის-ძეს — გალის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
20. **კიკაჩეიშვილს** სოფიო ისიდორეს ასულს — ქუთაისის მე-10 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
21. **კონიაშვილს** მიხეილ გრიგოლის-ძეს — მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის მეთოდისტს.
22. **კულებიაკინას** ოლღა ვასილის ასულს — თბილისის მე-4 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
23. **კუპრეიშვილს** დავით ლუარსაბის-ძეს — თბილისის რაიონის ავჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
24. **მელიქიშვილს** იოსებ ივანეს-ძეს — თბილისის 22-ე ვაჟთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
25. **მეფისაშვილს** ელენე სტეფანეს ასულს — ქუთაისის მე-9 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
26. **მიქაძეს** ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს — ხაშურის რკინიგზის ქალთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
27. **ნადირაშვილს** სოფიო კონსტანტინეს ასულს — სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
28. **ოგანეზოვს** ხორენ ისაკის-ძეს — ბორჯომის ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
29. **ორნატსკის** ალექსი დიმიტრის-ძეს — თბილისის მე-3 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
30. **რაზიკაშვილს** თამარ ილარიონის ასულს — გორის მე-2 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
31. **რევიას** ბართლომე მელქისედეკის-ძეს — მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
32. **რუხაძე-ყორყოლიანს** ნადეჟდა სიმონის ასულს — თბილისის 23-ე ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
33. **საბაშვილს** მინადორა პავლეს ასულს — გუდაუთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
34. **სულამანიძეს** ანტონ ზურაბის-ძეს — ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.
35. **ფარეულიძეს** ელენე ვასილის ასულს — ახმეტის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
36. **ფურცელაძეს** ანა დავითის ასულს — მცხეთის რაიონის გალავნის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
37. **ქელეხსაევს** დიმიტრი ივანეს-ძეს — ქარელის რაიონის იძერხევის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
38. **ღვინიაშვილს** მარიამ რომანის ასულს — თბილისის მე-3 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
39. **ღლონტს** ივანე გრიგოლის-ძეს — ბათუმის მე-6 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
40. **ყანჩაველს** ქეთევან იოსების ასულს — ახალციხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგეს.
41. **ყარანგოზიშვილს** ალექსანდრა ვლადიმერის ასულს — დუშეთის რვაწლიანი რუსული სკოლის დირექტორს.
42. **შატბერაშვილს** ლუარსაბ სიმონის-ძეს — თბილისის მე-18 ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორს.
43. **ციქუბაძეს** თამარ დიმიტრის ასულს — კაჭრეთის რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
44. **ციფურიას** ბესარიონ საბას-ძეს— მუშათა ახალგაზრდობის თბილისის მე-5 სკოლის მასწავლებელს.
45. **ძაგნიძეს** ანტონ იასონის-ძეს — თბილისის მე-12 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
46. **წვერავას** ელენე ნიკოლოზის ასულს — ბათუმის მე-2 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
47. **ჭანტურიას** ბართლომე ისლამის-ძეს — წალენჯიხის რაიონის ქვალერის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
48. **ჭანტურიას** რაჟდენ პავლეს-ძეს— თბილისის მე-4 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
49. **ჭუბაბრიას** მელქისედეკ სამსონის-ძეს — წულუკიძის ქალთა რვაწლიანი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
50. **ჭურაძეს** ალექსანდრე სიმონის-ძეს — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
51. **ხიმშიაშვილს** სალომე ნიკოლოზის ასულს — თბილისის მე-12 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
52. **ჯგუშიას** ეკატერინე ვასილის ასულს — სოხუმის მე-3 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.
53. **ჯიქიას** ანდრია კონსტანტინეს-ძეს — თბილისის მე-14 ვაჟთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
54. **ჯულელს** კორნელი პორფირეს-ძეს — თბილისის რკინიგზის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
55. **ჯაფარიძეს** თამრ დიმიტრის ასულს — თბილისის მე-19 ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1947 წლის 10 მაისი.
ქ. თბილისი.

როცა შრომის დისციპლინა სუსტია

საშემოდგომო ნათესებს კარგი პირი უჩანს, მოსავლის აღებაც მალე დაიწყება. მაგრამ თელავის მტს-ში კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტის დამთავრებას არ ჩქარობენ. მტს-ს კომბაინების რემონტი 10 მაისისათვის უნდა დაემთავრებინა, ხოლო სალეწი მანქანებისა—15 მაისისათვის. 8 მაისისათვის 8 კომბაინიდან შეკეთებული იყო 5, ხოლო 5 სალეწიდან—2. შეკეთებულ კომბაინებსა და სალეწ მანქანებზე აქტებიც არა აქვთ შედგენილი.

როგორც წესი, რემონტიდან გამოსული კომბაინი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შეკეთებულად, როცა მას ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობაც აქვს. აქ კი არცერთ კომბაინს ასეთი მოწყობილობა არ მოეპოვება.

რამ გამოიწვია მტს-ში კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტის ჩამორჩენა?

მტს-მა არ გამოიყენა ადგილობრივი შესაძლებლობანი სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად და აღსადგენად, თავიდანვე არ მიიღო ზომები სარემონტო სახელოსნოში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ძალების სწორად გასანაწილებლად, მოწინავეთა გამოცდილების დასანერგავად. ნაკლები ყურადღება ექცევა რემონტზე მომუშავეთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას. მემანქანე მიტო სანდოშვილს 15 დღეზე მეტი აქვს გაცდენილი, მაგრამ მასზე სასჯელი არ დაუდვიათ. კომბაინერი მიხეილ დიასამიძე 4, 5 და 6 მაისს სამუშაოზე არ გამოცხადდა. არც ის დაუსჯიათ! კომბაინერებმა ს. გიგოლაშვილმა, მ. ტყავაძემ, სალეწის მემანქანე ი. კრუგლოვმა ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ უდისციპლინობის გამო ვერ გააჩაღეს.

თუ მტს-მა მაქსიმალურად არ გამოიყენა დარჩენილი დღეები, იგი მომზადებული ვერ შეხვდება მოსავლის აღებას.

ქ. იარალოვი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პროპაგანდისტის დასახმარებლად

პარტიის მეხუთე ყრილობის 40 წლისთავისათვის

40 წლის წინათ, 1907 წლის 13 მაისს, ლონდონში გაიხსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის V ყრილობა. ყრილობის პერიოდისათვის პარტია თავის რიგებში ითვლიდა 150 ათასამდე წევრს და ფრიად სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყრილობაზე გაგზავნეს 336 დელეგატი, აქედან ბოლშევიკი 105, მენშევიკი 97. დანარჩენი დელეგატები იყვნენ ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებიდან (პოლონეთის, ლატვიისა და ბუნდისა).

პარტიის V ყრილობა შეიკრიბა იმ პერიოდში, როცა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ყრილობას უნდა გადაეწყვიტა პარტიის მომავალი მუშაობის, რევოლუციაში მუშათა კლასისა და გლეხობისადმი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ყრილობის ორ ძირითად ნაწილს — ბოლშევიკებსა და მენშევიკებს სხვადასხვანაირად ესმოდათ პარტიის წინაშე მდგომი ამოცანები და მათ შორის ბრძოლა ყრილობაზე მეტად მწვავე ხასიათს ატარებდა.

ლენინი და ბოლშევიკები მოითხოვდნენ ყრილობის დღის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხები: პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მიმდინარე მომენტში, ეკონომიური ბრძოლის გამწვავება და მიმდინარე მომენტი, ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულება და სხვ. მენშევიკები, ბუნდელები, ტროცკი ამ მოთხოვნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ყრილობაზე მარტო დღის წესრიგის განხილვას დასჭირდა რამდენიმე დღე. ბოლოს მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ანგარიში, არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ, სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, მუშათა ყრილობის შესახებ, პროფკავშირების შესახებ, პარტიზანული გამოსვლების შესახებ, კრიზისების, ლოკაუტების და უმუშევრობის შესახებ, შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესის შესახებ და ორგანიზაციული საკითხები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის (რომლის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ) ანგარიშის შედეგად ყრილობაზე გამოირკვა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დაუშვა შეცდომები, ჩაშალა მუშაობა, წამოაყენა პარტიის ხაზის საწინააღმდეგო ლოზუნგები და, ნაცვლად პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკის გატარებისა, ფაქტიურად პროლეტარიატის ინტერესები ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებს დაუმორჩილა. პლეხანოვმა პირდაპირ მოითხოვა კადეტებთან შეთანხმება და პარტიის შესვლა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ბლოკში.

ლენინმა და ბოლშევიკებმა მკაცრად გააკრიტიკეს ცენტრალური კომიტეტის მუშაობა. ამხანაგ სტალინის თქმით, ცენტრალური კომიტეტი აბნელებდა პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას, პროლეტარიატის პოლიტიკას უმორჩილებდა ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკას, პროლეტარიატის დროშას ხრიდა კადეტური ლიბერალიზმის წინაშე. ბოლშევიკებმა ყრილობაზე შეიტანეს თავიანთი რეზოლუცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ცენტრალური კომიტეტი უკან იხევდა და არ ასრულებდა პარტიის IV გამაერთიანებელი ყრილობის დადგენილებებს, რომ მისი მოღვაწეობა ბევრ რამეში არ შეესაბამებოდა პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს და თავისი ერთი წლის მოღვაწეობის პერიოდში არ გამოხატავდა პარტიის უმრავლესობის ნებისყოფას.

ბოლშევიკების რეზოლუცია, რომელიც ჰკიცხავდა ცენტრალურ კომიტეტს, ყრილობას არ მიუღია, მაგრამ არც მენშევიკების რეზოლუცია იქნა მიღებული, რომელიც სწორად სთვლიდა ცენტრალური კომიტეტის მუშაობას და ნდობას უცხადებდა მას. ყრილობამ მიიღო წინადადება, რომ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო არავითარი რეზოლუცია არ ყოფილიყო მიღებული და გადასულიყვნენ მორიგი საკითხების განხილვაზე. ამ წინადადების მიღებით მენშევიკებს ასცდათ დამსახურებული გაკიცხვა. მენშევიკებისათვის მხარის დაჭერით ცენტრისტულმა და შემთანხმებლურმა ელემენტებმა მაშინ პარტიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს.

ყრილობაზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ძირითადი ტაქტიკური უთანხმოება იყო რევოლუციის პერსპექტივებისა და რევოლუციაში სხვადასხვა კლასებისა და პარტიების როლის საკითხში. ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ტაქტიკური შეხედულებანი ამ საკითხზე ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა ჯერ კიდევ რევოლუციის განვითარების პირველ პერიოდში, პარტიის III ყრილობისა და მენშევიკების ჟენევის კონფერენციის ჩატარების შედეგად გამოიმუშავეს. რევოლუციის მსვლელობა ადასტურებდა ბოლშევიკების ტაქტიკის სისწორეს და ამჟღავნებდა მენშევიკების ტაქტიკის სიყალბეს. ლიბერალური ბურჟუაზიისა და მისი პარტიების როლის გადაფასებით, პროლეტარიატისა და გლეხობის როლის შეუფასებლობით, ბურჟუაზიულ-მონარქისტულ პარტიებთან შეთანხმებისაკენ მისწრაფებით, მენშევიკები სავსებით ეწინააღმდეგებოდნენ რევოლუციის ობიექტურ მსვლელობას და სერიოზულად უშლიდნენ ხელს მის განვითარებასა და გამარჯვებით დაგვირგვინებას.

რევოლუციის მამოძრავებელ ძალებად პროლეტარიატისა და გლეხობის მიჩნევა პირველის ჰეგემონიით, ბურჟუაზიის გამორიცხვა რევოლუციის მამოძრავებელი ძალებიდან და მისი აღიარება კონტრრევოლუციურ ძალად, ბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლური ბუნების მხილება და მათ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, წვრილბურჟუაზიული პარტიების კრიტიკა და მათი ჩამოშორება ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისაგან — ბოლშევიკების ეს ტაქტიკური შეხედულებანი დადასტურებას პოულობდნენ რევოლუციის მსვლელობაში.

ბოლშევიკების მოთხოვნით ყრილობის დღის წესრიგში შეტანილ იქნა საკითხი არაპროლეტარულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ. ყრილობაზე ამ საკითხის შესახებ ლენინის მოხსენებამ, ხოლო მენშევიკების მხრიდან მარტინოვის მოხსენებამ კიდევ უფრო ნათელჰყო ბოლშევიკებისა და მენშევიკების ტაქტიკური ხაზის მკვეთრი დაპირისპირება. ლენინმა გამოაშკარავა ბურჟუაზიული პარტიების ანტირევოლუციური, რეაქციული ბუნება და განსაზღვრა მათდამი დამოკიდებულების სწორი ხაზი, ხოლო მარტინოვმა კატეგორიულად დაიცვა ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მთავარ პარტიასთან, კადეტებთან ბლოკის იდეა.

ლენინის მოხსენებაში განვითარებულ შეხედულებებს არაპროლეტარულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ მხარი დაუჭირა ორატორების დიდმა უმრავლესობამ, ხოლო შემდეგ ბოლშევიკებისა და მენშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლუციების განხილვის შედეგად დელეგატთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით ყრილობამ მიიღო ბოლშევიკების რეზოლუცია. მენშევიკები შეეცადნენ შესწორებები მაინც შეეტანათ ბოლშევიკების რეზოლუციაში. ისინი წინადადებას იძლეოდნენ აღიარებული ყოფილიყო, რომ კადეტები ჯერ კიდევ არ დასდგომიან კონტრრევოლუციის გზასო, და რომ გარკვეულ შემთხვევებში დაშვებული ყოფილიყო კადეტებთან ტექნიკურ შეთანხმებათა შესაძლებლობა მაინც. მაგრამ მათი შესწორებანი არ იქნა მიღებული.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში ნათქვამია: „ყრილობამ ბოლშევიკური შეფასება მისცა ყველა არაპროლეტარულ პარტიას — შავრაზმელებს, ოქტიაბრისტებს, კადეტებს, ესერებს—და ჩამოაყალიბა ბოლშევიკური ტაქტიკა ამ პარტიების მიმართ.

ყრილობამ მოიწონა ბოლშევიკების პოლიტიკა და მიიღო გადაწყვეტილება გაშლილიყო ულმობელი ბრძოლა როგორც შავრაზმული პარტიების — „რუსი ხალხის კავშირის", მონარქისტების, გაერთიანებული თავად-აზნაურობის საბჭოს წინააღმდეგ, ისე „17 ოქტომბრის კავშირის" (ოქტიაბრისტები), სავაჭრო-სამრეწველო პარტიისა და „მშვიდობიანი განახლების" პარტიის წინააღმდეგაც. ყველა ეს პარტიები აშკარად კონტრრევოლუციური იყვნენ.

რაც შეეხება ლიბერალურ ბურჟუაზიას, კადეტთა პარტიას, ყრილობამ წამოაყენა წინადადება შეურიგებელი მამხილებელი ბრძოლისა მის წინააღმდეგ. ყრილობამ წამოაყენა წინადადება კადეტთა პარტიის თვალთმაქცური, ყალბი „დემოკრატიზმის" მხილებისა და ბრძოლისა ლიბერალური ბურჟუაზიის ცდებთან — სათავეში ჩასდგომოდა გლეხობის მოძრაობას.

ეგრეთწოდებული ნაროდნიკული ანუ შრომითი პარტიების (სახალხო სოციალისტები, შრომის ჯგუფი, ესერები) მიმართ ყრილობა ურჩევდა პარტიულ ორგანიზაციებს — ემხილებინათ მათი სოციალისტებად შენიღბვის ცდები. ამავე დროს ყრილობა დასაშვებად სთვლიდა ცალკეულ შეთანხმებებს ამ პარტიებთან ცარიზმის წინააღმდეგ და კადეტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ საერთო და ერთდროული შეტევისათვის, რამდენადაც ეს პარტიები მაშინ დემოკრატიული პარტიები იყვნენ და ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ" (გვ. 108-109).

ამრიგად, არაპროლეტარულ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხში, რომელიც, ლენინის თქმით, წარმოადგენდა პარტიაში თითქმის ყველა არსებითი უთანხმოების წყაროს, ბოლშევიკებმა მოიპოვეს სერიოზული გამარჯვება.

V ყრილობაზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ბრძოლა გაიმართა მუშათა ყრილობის საკითხის გამო. ეს საკითხი ყრილობის განსახილველად შეიტანეს მენშევიკებმა. მათ მუშათა ყრილობისათვის აგიტაცია დაიწყეს ჯერ კიდევ 1905 წლის ოქტომბრის დღეებამდე. მუშათა ყრილობისათვის აგიტაცია პროლეტარული პარტიის არსებობის უარყოფას ნიშნავდა. მენშევიკების მტკიცებით, არ არსებობდა პროლეტარული პარტია, არსებობდა მხოლოდ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ორგანიზაცია. ამან აღშფოთება გამოიწვია განსაკუთრებით პეტერბურგელ და მოსკოველ მუშა დელეგატებს შორის. მარტო ის, რომ ყრილობის დროს პარტიაში გაერთიანებული იყო 150 ათასამდე წევრი და ყრილობის 336 დელეგატიდან 116 დელეგატი მუშა იყო, ცხადჰყოფდა პარტიის მუშურ ხასიათს.

მენშევიკების „არგუმენტაცია" მუშათა ყრილობის სასარგებლოდ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ცხადი იყო, რომ ისინი მუშათა ყრილობის მოწვევისა და მუშათა ფართო პარტიის შექმნის საფარქვეშ ახდენდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციას. ამიტომ მუშათა ყრილობის მენშევიკური იდეა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა პარტიისათვის.

ლენინმა და სტალინმა გააცამტვერეს მენშევიკების ცდები, რომლებიც მიმართული იყო პარტიის ლიკვიდაციისაკენ. ლენინი, აკრიტიკებდა რა მენშევიკებს, ეკითხებოდა: მაშ რსდმპ რაღა არის? განა ეს არ არის რუსეთის მუშების პოლიტიკური გაერთიანება? ამხანაგი სტალინი ამხილებდა მენშევიკების სიყალბეს და ამბობდა: „მუშათა ყრილობის იდეა, აღებული მისი კონკრეტული სახით, ძირფესვიანად ყალბია: ვინაიდან იგი ეყრდნობა არა ფაქტებს, არამედ შემცდარ დებულებას, რომ „ჩვენში პარტია არ არისო". საქმე ის არის, რომ ჩვენ გვყავს პროლეტარული პარტია, იგი ხმამაღლა აცხადებს თავის არსებობას, იგი ძალიან სერიოზულად აგრძნობინებს თავის თავს პროლეტარიატის მტრებს, — ეს თვითონ მენშევიკებმა ძალიან კარგად იციან,—და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ უკვე გვყავს ასეთი პარტია, სწორედ ამიტომ მუშათა ყრილობის იდეა ძირფესვიანად ყალბია". (ი. სტალინი, ტ. II, გვ. 74).

მკაცრად გააკრიტიკეს რა მუშათა ყრილობის იდეის სიყალბე, ბოლშევიკებმა წარადგინეს თავისი რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო: „უპარტიო მუშათა ყრილობის იდეა, რომელსაც მუშათა მასებზე სოციალ-დემოკრატიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ხელი ჩასჭიდეს ანარქო-სინდიკალისტებმა, უსათუოდ მავნეა პროლეტარიატის კლასობრივი განვითარებისათვის" (იხ. რეზოლუციები, ტ. I, გვ. 101, 1941 წ.).

ყრილობამ ხმის უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკების რეზოლუცია და, მაშასადამე, მენშევიკებმა მორიგი დამარცხება იგემეს.

V ყრილობამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო პროფკავშირების საკითხს. რევოლუციის მსვლელობაში მასობრივად იქმნებოდნენ პროფკავშირები და მათ, როგორც მუშათა მასობრივ ორგანიზაციებს, მეტად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ. პარტიის წინაშე დადგა ამოცანა, რომ მისი გავლენითა და ხელმძღვანელობით წარმართულიყო პროფკავშირების მთელი მუშაობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაიქცეოდნენ ისინი მუშათა მასების კლასობრივი აზროვნებისა და გათვითცნობიერების ნამდვილ სკოლად. ლენინი და სტალინი პარტიის წევრებისაგან მოითხოვდნენ პროფკავშირებში შესვლას და იქ აქტიურ მუშაობას.

მენშევიკებმა სავსებით საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს პროფკავშირებისადმი. ისინი იცავდნენ პროფკავშირების „ნეიტრალობას" და ამით უარჰყოფდნენ მათს როლსა და მნიშვნელობას, მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის აუცილებლობას. პროფკავშირების მოწყვეტა პარტიისაგან ნიშნავდა პარტიის მოწყვეტას მუშათა კლასისაგან, და, მაშასადამე, რევოლუციაზე ხელის აღებას. ბოლშევიკები მკაცრად აკრიტიკებდნენ მენშევიკების ამ ყალბ პოზიციას და ნათელჰყოფდნენ მის მავნებლურ ხასიათს რევოლუციისათვის.

ყრილობამ უარჰყო მენშევიკების წინადადება და მიიღო ბოლშევიკების რეზოლუცია, სადაც დასახული იყო ამოცანა პროფკავშირებთან კავშირის დამყარებისა და პროფკავშირებისადმი პარტიის იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის შესახებ.

V ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ. ყრილობის დასასრულს ბოლშევიკი დელეგატების კრებაზე არჩეულ იქნა **ბოლშევიკური ცენტრი** ბოლშევიკური კომიტეტების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის რუსეთში.

ამხანაგი სტალინი თავის სტატიაში „დელეგატის წერილები" ყრილობაზე გამართული მწვავე ბრძოლის ფესვებს იმაში ხედავდა, რომ ყრილობაზე ბოლშევიკები უმთავრესად წარგზავნილი იყვნენ მსხვილი სამრეწველო რაიონებიდან, ხოლო მენშევიკები წვრილი საწარმოებისა და გლეხური რაიონებიდან. ამ რაიონების პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს შორის განსხვავება თავს იჩენდა მუშათა პარტიის ორ ნაწილად დაყოფასა და დაპირისპირებაში.

პარტიის V ყრილობის მნიშვნელობა ის იყო, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — რომ „ყრილობა დამთავრდა „ბოლშევიზმის" გამარჯვებით, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებით ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაზე, „მენშევიზმზე". ...მაშასადამე, ამიერიდან პარტია გაატარებს სოციალისტური პროლეტარიატის მკაცრ კლასობრივ პოლიტიკას. პროლეტარიატის წითელი დროშა აღარ დაიხრება ლიბერალიზმის ტკბილმოუბართა წინაშე. პროლეტარიატისათვის შეუფერებელ ინტელიგენტურ მერყეობას სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა". (სტალინი, ტ. II, გვ. 46-47).

ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს პარტიის V ყრილობაზე, მაგრამ ისინი ამით განცხრომასა და უდარდელობას როდი მიეცნენ. მათ ახალი ძალით გააჩაღეს მუშაობა და ბრძოლა დასახული ამოცანების გადაჭრისათვის. ამხანაგი სტალინი ამის შესახებ სწერდა: „მახსოვს, როგორი დაჟინებით არწმუნებდა მაშინ ლენინი დელეგატებს: „პირველი საქმე—არ გავიტაცოთ გამარჯვებამ და არ ვიყოყოჩოთ; მეორე საქმე—განვამტკიცოთ თქვენი გამარჯვება; მესამე—საბოლოოდ გავანადგუროთ მოწინააღმდეგე, ვინაიდან ის მხოლოდ დამარცხებულია და ჯერ კიდევ სავსებით არ არის განადგურებული". (სტალინი, ლენინის შესახებ, გვ. 40, 1938 წ.).

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა პარტიამ გააჩაღა ბრძოლა V ყრილობაზე მოპოვებული გამარჯვების განმტკიცებისათვის, მომავალი რევოლუციის მომზადებისათვის და ათი წლის შემდეგ უზრუნველჰყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

დოცენტი ს. ლარცულიანი

მშრომელები სწავლობენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასები უდიდეს ინტერესს იჩენენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესწავლისადმი. როვნოს ოლქის სარნის რაიონში საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლების ბიოგრაფიებს წრეებში სწავლობს ათასზე მეტი გლეხი. ტულის ოლქის საფონოვკის რაიონში შესავალ ლექციებს დაესწრო 300 კოლმეურნე. ბუხარის ოლქის გიჟდუვანის რაიონის 22 საველე ბანაკსა და საკოლმეურნეო პარტკაბინეტებში მეცადინეობას ხელმძღვანელობენ პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ნასრეტდინოვი და სხვა გამოცდილი პროპაგანდისტები. ტერმეზში (უზბეკეთის სს რესპუბლიკის სურხან-დარიის ოლქი) მოწყობილია რეგულარული რადიოგადაცემა თავებისა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებიდან.

საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის ლექტორიუმში დაიწყო ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლის კითხვა. პირველ ლექციას—ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლების შესახებ—დაესწრო 700-ზე მეტი კაცი, უმთავრესად ინტელიგენციის წარმომადგენლები—ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები. ლექციების ანალოგიური ციკლი წაკითხულ იქნება ლენინგრადში პროფკავშირული აქტივისთვისაც.

თეორიული კონფერენციისათვის თემაზე „ლენინისა და სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა" სამ თვეს ემზადებოდნენ ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტები. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 1.200 კაცმა. მოხსენებები წაიკითხეს სტუდენტებმა. კონფერენციამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

ნოვო-კონდრაშევის სარკინიგზო კვანძის პარტიული კომიტეტი ლექციების წასაკითხავად იწვევს ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებს — ინჟინრებს, მასწავლებლებს. მაგალითად, როდაკოვოს სართქლმავლო დეპოს ინჟინერი ამხ. ასენინი კითხულობს ლექციას „ლენინისა და სტალინის დიდი თანამეგობრობა".

საქართველოში მატულობს იმ ადგილების მნახველ ექსკურსანტთა რიცხვი, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან. ხალხით არის ხოლმე სავსე ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. მოკლე ხნის განმავლობაში იგი ინახულა 12 ათასმა კაცმა. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა დასაბეჭდად მოამზადა ამხანაგ სტალინის მოკლე ბიოგრაფიის მეორე გამოცემა ქართულ ენაზე. უახლოეს დროში მეორე გამოცემად გამოდის თბილისის იმ ისტორიული ადგილების გზის მაჩვენებელი, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხანა. ლენინგრადელთა გამოწვევის პასუხად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში დაწინაურდა სტახანოველი მღარავი ლ. გოქაძე. სურათზე: ლ. გოქაძე თავის დაზგასთან.

ფოტო რ. აკოფოვისა

საწარმოთა კოლექტივები ეხმარებიან მტს-ებს და კოლმეურნეობებს

ქ უ თ ა ი ს ი

ინიციატივას მტს-ებისათვის დახმარების გაწევის შესახებ ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები. საავტომობილო ქარხნის მშენებლებმა შეფობა აიღეს ქუთაისის მტს-ისადმი, ლიტოპონის ქარხანამ—ვანის მტს-ისადმი, ხოლო მანქანათმშენებელმა ქარხანამ — აბაშის მტს-ისადმი. საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს საჭირო რაოდენობით დაუმზადონ სათადარიგო ნაწილები აღნიშნულ მტს-ებს და შეუკეთონ ძველი იარაღ-მანქანები.

პარტიის ქუთაისის საქალაქო აქტივის კრებაზე, რომელიც მიეძღვნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით ქუთაისის პარტორგანიზაციის ამოცანების განხილვას, სიტყვით გამოსულმა საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილემ ამხ. პუჩკოვმა, ლიტოპონის ქარხნის დირექტორმა ამხ. სურმავამ და მანქანათმშენებელი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. რახოვსკიმ პირობა დასდეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ მტს-ებისათვის კონკრეტული დახმარების აღმოსაჩენად. მათ სიტყვას საქმეც მოჰყვა.

ლიტოპონის ქარხნის საშეფო კომისიამ ადგილზე შეამოწმა ვანის მტს-ის საჭიროებანი და დასახა ღონისძიებები მტს-ისათვის პირველ რიგში აუცილებელი ნაწილების მისაწოდებლად. ქარხნის მექანიკური საამქროს ენერგიული მუშაობით მტს-მა 7 აპრილს ლიტოპონელებისაგან მიიღო „სტზ" მარკის ტრაქტორის 2 საკისური, 2 ბარბაცა, 1 რადიატორი და სხვადასხვა დეტალები. ქარხნის კოლექტივი ამჟამად მუშაობს მტს-ის მიერ ახლად დაკვეთილი ნაწილების დამზადებაზე.

საავტომობილო ქარხანამ ქუთაისის მტს-ისათვის სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად გამოჰყო სპეციალური ბრიგადა, რომელსაც მთავარი მექანიკოსი ამხ. აგაროვი ხელმძღვანელობს. ბრიგადა შეუდგა მუშაობას. ახლა სწრაფად და მაღალხარისხოვნად არემონტებენ ტრაქტორების ცალკეულ ნაწილებს როგორც მტს-ის სახელოსნოში, ისე ქარხნის საამქროებში. ამ დღეებში ბრიგადის წევრები ადგილზე შეამოწმებენ მინდვრად მომუშავე ტრაქტორებს და საჭირო შემთხვევაში იქვე შეაკეთებენ მათ.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე მანქანათმშენებელ ქარხანაში თავისი შეფის აბაშის მტს-ის დასახმარებლად. ქარხნის კოლექტივი პირველ რიგში არემონტებს „სტზ" მარკის 5 ტრაქტორს.

მტს-ებისათვის უკეთესი დახმარების აღმოჩენის მიზნით საწარმოების კოლექტივებმა ერთმანეთი გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ტ ყ ი ბ უ ლ ი

საქართველოს შახტმშენის ტყიბულის ტრესტმა შეფობა აიღო რაიონის სოფელ გურნის, ცუცხვათის, კურსების, სოჩხეთის, სცენორის და ახალსოფლის კოლმეურნეობებზე. ტრესტის კოლექტივმა დაივალა ამ კოლმეურნეობებს მოუწყოს სამჭედლოები, დაუმზადოს თოხები, ნაჯახები, გადასცეს ურმების შესაჭედი და ნალების დასამზადებელი რკინა.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა შეფად აიყვანა რაიონის ხუთი კოლმეურნეობა. ტრესტი ავტოტრანსპორტით დაეხმარება სოფელ საწირის კოლმეურნეობას. შეფად აყვანილ სხვა კოლმეურნეობებს ტრესტი დაეხმარება სამჭედლოების აგებასა და მოწყობაში, სასოფლო იარაღ-მანქანების დამზადებაში.

უახლოეს დღეებში საშეფო კოლმეურნეობებს გაეგზავნება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის პირველი პარტია.

ს. მერკვილაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

48 ტონა საძირე ტყავი გეგმის გადამეტებით

— მეტი და მაღალხარისხოვანი ტყავეული ჩვენი ფეხსაცმლის ფაბრიკებს! —ამ ლოზუნგით მუშაობენ 1947 წლის გეგმის გასანაღდებლად თბილისის ტყავეულობის პირველი ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. როგორც შარშან, ისე წელსაც მათ დიდად გაუთქვეს სახელი თავიანთი ქარხნის მარკას. ამიტომ მოითხოვენ ფეხსაცმლის ფაბრიკები—მოგვეცით ტყავეულობის პირველი ქარხნის პროდუქციაო.

მიმდინარე წლის იანვარში ქარხნის კოლექტივმა გეგმით გათვალისწინებული 103 ტონის ნაცვლად 112 ტონა საუკეთესო ხარისხის საძირე მასალა მოგვცა, თებერვალში — 114 ტონა, მარტში — 118 ტონა და აპრილში — 120 ტონა. ოთხი თვის განმავლობაში დაზოგილია 10 ტონა სათრიმლავი მასალა (ქიმიკატები), 15 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. შრომის ნაყოფიერების დარგში ქარხანამ 17 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს და წელს ტყავის ქარხნებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა.

ეს მიღწევები მოპოვებულია სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კარგად დაყენების შედეგად. ქარხანაში მტკიცედ დანერგეს სტახანოვური განრიგი. დაწინაურდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას ერთიორად და ერთისამად ანაღდებენ. ესენია შ. მერაბიშვილი, ი. ხუციშვილი, ი. ბაბინი და სხვები.

ქარხნის კოლექტივმა გამარჯვების დღის—ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიდი პატრიოტული დღესასწაულისათვის სამშობლოს საჩუქრად მისცა 48 ტონა ტყავეული და ნახევარი მილიონი მანეთი მოგება.

ა. შარვანიძე

პრემიები საფინანსო ორგანოებს

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საფინანსო-საბანკო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეაჯამეს საფინანსო ორგანოების შეჯიბრების შედეგები 1947 წლის პირველ კვარტალში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია 18.000 მანეთი მიეკუთვნა გორის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას (გამგე ამხ. დ. ოქრუაშვილი). მეორე პრემიები—თითო 12.500 მანეთი—მიეკუთვნათ: მახარაძის (გამგე ქ. უჯმაჯურიძე) და წითელწყაროს (გამგე ა. ლორთქიფანიძე) რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებებს. მესამე პრემიები — თითო 9.000 მანეთი — მიეკუთვნათ ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას (გამგე ნ. სალია) და თელავის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას (გამგე გ. სიდამონიშვილი). მეოთხე პრემიები — თითო 7.000 მანეთი — მიეკუთვნათ ონის (გამგე ამხ. ლობჟანიძე) და დმანისის (გამგე შ. თვალჭრელიძე) რაისაბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებს. ჩამოთვლილ საფინანსო განყოფილებათა გამგეებს მიეცათ ფულადი ჯილდოები.

ჟიურიმ აღნიშნა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების, ამბროლაურის, თბილისის, კასპის, თეთრი წყაროს, ქუთაისის, ახალციხის, ორჯონიკიძის, ხაშურისა და ზესტაფონის რაისაბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებათა კარგი მუშაობა 1947 წლის პირველ კვარტალში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია

7 მაისის საღამოს პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 8 მაისი. (საკდესი). 7 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საღამოს პლენარულ სხდომაზე მოწონებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: „გენერალური ასამბლეა ადასტურებს, რომ არაბთა აღმასრულებელი კომიტეტისათვის სიტყვის უფლების მიცემის შესახებ პოლიტიკური კომიტეტის გადაწყვეტილება სწორად განმარტავს გენერალური ასამბლეის წინათმიღებულ რეზოლუციას, რომლის თანახმადაც ებრაელთა სააგენტო მოწვეული იყო გამოსულიყო პოლიტიკურ კომიტეტში". გარდა ამისა, ამ რეზოლუციის თანახმად, პოლიტიკურ კომიტეტს გადაეცა სხვა თხოვნებიც მათ გამო გადაწყვეტილებათა მისაღებად.

საღამოს პლენარული სხდომის დაწყებამდე შესდგა გენერალური კომიტეტის დახურული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა პროცედურის პრობლემები. გენერალურმა კომიტეტმა პლენარულ სხდომას გადასცა რეზოლუცია, რომელიც შემდეგ მიღებულ იქნა 39 ხმით ერთის წინააღმდეგ, 11 წევრმა, მათ შორის სლავურმა ქვეყნებმა, თავი შეიკავა.

პლენარულ სხდომაზე კამათის დროს კენჭისყრის დაწყებამდე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გრომიკომ განაცხადა, რომ რეზოლუციის მიღება საჭირო არ არის, რადგან იგი უბრალოდ ადასტურებს და ამ რიგად მხოლოდ [illegible] წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას.

პოლიტიკური კომიტეტის სხდომები

ნიუ-იორკი, 8 მაისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის ქვეკომიტეტმა ერთხმად სთქვა უარი იმაზე, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა მოუსმინოს შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლებს: „პალესტინისათვის პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის", „ქალაქ ნიუ-იორკის პროგრესული სიონისტური ორგანიზაციის", „ეროვნული განთავისუფლების ებრაული კომიტეტის" და „ჩრდილოეთ აფრიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კომიტეტისა" (რომელიც იცავს ტუნისის, ალჟირისა და მაროკოს არაბთა ჯგუფების წარმომადგენლობას). ქვეკომიტეტმა თავი შეიკავა გადაწყვეტილების მიღებისაგან საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის „აგუდატ იზრაელის" მიმართებით. თავისი უარის თქმის დროს ქვეკომიტეტი ემყარებოდა იმ ფუნქციებსა და რწმუნებებს, რომლებიც განსაზღვრულია პოლიტიკური კომიტეტის მიერ და რომლებიც მოითხოვენ, რომ ქვეკომიტეტმა გამოარკვიოს, წარმოადგენენ თუ არა ის ორგანიზაციები, რომელთაც განცხადებით გამოსვლა სურთ, „პალესტინის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს".

ქვეკომიტეტმა, რომელიც შესდგება კოლუმბიის, ირანის, პოლონეთის, შვეციისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენელთაგან, თავმჯდომარედ აირჩია შვეციის წარმომადგენელი ჰეგი.

ნიუ-იორკი, 9 მაისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გუშინ განაახლა პალესტინის საკითხის შემსწავლელი კომისიის რწმუნებათა და შემადგენლობის საკითხის განხილვა. კომიტეტმა მოისმინა აგრეთვე ებრაელთა სააგენტოს წარმომადგენლის სილვერის განცხადება. თავმჯდომარემ სხდომა გახსნა და განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა სამდივნომ მიიღო დეპეშა პალესტინის კომუნისტური პარტიისა, რომელიც ითხოვს, რომ მის წარმომადგენელს შესაძლებლობა მიეცეს გამოვიდეს კომიტეტში, და აღნიშნავს, რომ დისკუსია სრული არ იქნება, თუ არ მოისმენენ პალესტინის ანტიიმპერიალისტური ძალების წარმომადგენელთა განცხადებას.

ებრაელთა სააგენტოს წარმომადგენელი სილვერი მოუწოდებდა პალესტინაში ებრაელთა იმიგრაციის დაუყოვნებლივი განახლებისაკენ. მან განაცხადა, რომ ბალფურის დეკლარაციასა და პალესტინისადმი მანდატში ჩამოყალიბებული ვალდებულებანი არ შეიძლება გაუქმებულ იქნან და რომ ამიტომ ებრაელებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ მიაღწიონ უმრავლესობას და შექმნან ებრაელთა სახელმწიფო.

სილვერმა აღნიშნა, რომ თუ გათვალისწინებული კომისია საკითხს მიუდგება მხოლოდ როგორც პალესტინაში არაბთა და ებრაელთა ახლანდელ თემებს შორის უთანხმოების შერიგებას ანდა ებრაელ ლტოლვილთა ერთგვარი რაოდენობისათვის თავშესაფრის მიცემის პრობლემას, ეს მხოლოდ უფრო გაართულებს მდგომარეობას. სილვერმა ინგლისს ბრალი დასდო მანდატის პირობების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაში „დისკრიმინაციული რასობრივი კანონების" დახმარებით, რომლებიც ზღუდავენ ებრაელთა დაშვებას პალესტინაში, და მოითხოვა, რომ გათვალისწინებულმა კომისიამ სავსებით გამოიკვლიოს პალესტინაში შექმნილი სიტუაცია და ინგლისისაგან მოითხოვოს მანდატის განხორციელების ანგარიში ისე, რომ არ დაელოდოს გენერალური ასამბლეის შემდგომი მორიგი სესიისათვის ასეთი ანგარიშის წარდგენას. სილვერმა მოუწოდა აგრეთვე, რომ კომისიამ [illegible] ევროპაში ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკებში.

კომიტეტის თავმჯდომარემ პირსონმა ჰკითხა დელეგატებს, შეკითხვები ხომ არა გაქვთ, რომლებზეც სილვერს შეეძლოს უპასუხოს შემდეგ, როცა იგი საჭირო ინფორმაციას შეაგროვებსო. დელეგატებმა რამდენიმე შეკითხვა შეიტანეს. მას შემდეგ, რაც ყველა შეკითხვა წარმოდგენილ იქნა, სილვერმა დასტოვა სხდომათა დარბაზი.

საერთო დისკუსიის დროს ლათინური ამერიკის ქვეყნების ზოგიერთმა წარმომადგენელმა — ეკვადორის დელეგატმა პონსომ, ბოლივიის დელეგატმა პალსმა, პერუს დელეგატმა ლავალიემ —მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას, რომ გათვალისწინებული კომისია „ნეიტრალური" იყოს და რომ მასში არ შედიოდნენ ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლები. მაგრამ ამერიკის წინადადების ამ მომხრეებმაც ერთგვარი შიში გამოსთქვეს კომისიის „ნეიტრალობის" შესახებ.

სხვა დელეგატებმა, მათ შორის შვეციის წარმომადგენელმა ჰეგლოფმა და ვენესუელის წარმომადგენელმა სტოლკმა, განაცხადეს, რომ უმჯობესი იქნება პალესტინაში გამორკვევის მოსახდენად გათვალისწინებულ კომისიაში შეიყვანონ დიდი სახელმწიფოები, თუ ამას დაეთანხმება ყველა დელეგაცია. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა პაპანეკმა მტკიცედ მოუწოდა —შეიყვანონ კომისიაში დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლები არგენტინის წინადადების პირველი ნაწილის შესაბამისად. მაგრამ იგი გამოვიდა ამ წინადადების მეორე ნაწილის წინააღმდეგ, რადგან ეს ნაწილი კომისიის ოთხი დანარჩენი წევრის შერჩევას შემთხვევას ანდობს, რასაც შეეძლია ბრიტანეთის დომინიონებს რამდენიმე ადგილი მისცეს კომისიაში.

ინგლისის დელეგატმა კადოგანმა განაცხადა, რომ ინგლისი მონაწილეობას მიიღებს კომისიაში, თუ მას ამ კომისიაში აირჩევენ. მაგრამ იგი ამტკიცებდა, კომისიაში არჩევა ინგლისს „მოწმისა და ნაფიცი მსაჯულის" უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებსო. დასასრულ კადოგანმა სთქვა, რომ დიდ სახელმწიფოთა მონაწილეობა კომისიაში გააძნელებდა ამ კომისიის მუშაობას და საჭირო არ იქნებოდა, რადგან კომისია საბოლოო ინსტანცია არ არის პალესტინის საკითხში. კადოგანის მსგავსად ამერიკის წარმომადგენელმა ოსტინმა განაცხადა, რომ კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე არც ამერიკის შეერთებული შტატები იტყვიან უარს, მაგრამ მან მოუწოდა ბრიტანეთის მდგომარეობის სიძნელის „გაგებისაკენ". ოსტინმა განაცხადა, თუ კომისიაში შეყვანილ იქნა ერთი დიდი სახელმწიფო, მაშინ შეყვანილ უნდა იქნას ყველა დიდი სახელმწიფო, და დაჟინებით მოითხოვდა, რომ უმჯობესი იქნება კომისიაში არ შეიყვანონ დიდი სახელმწიფოებიო.

პოლიტიკური კომიტეტის საღამოს სხდომაზე პოლონეთის დელეგაციამ წინადადება წამოაყენა შეიქმნას პალესტინაში გამორკვევის ჩამტარებელი კომისია თერთმეტი წევრის შემადგენლობით, რომელთა შორის იქნება დიდ სახელმწიფოთა ხუთი წარმომადგენელი, არაბთა სახელმწიფოს ერთი წარმომადგენელი, [illegible], ლათინური ამერიკის ქვეყნების ორი წარმომადგენელი, აფრიკისა ან აზიისა — ერთი, დასავლეთ ევროპისა — ერთი, აღმოსავლეთ ევროპისა — ერთი წარმომადგენელი, უმჯობესია იუგოსლავიისა ან ჩეხოსლოვაკიისაგან. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. გრომიკომ მხარი დაუჭირა პოლონეთის წინადადებას.

წარადგინა რა თავისი წინადადება, პოლონეთის წარმომადგენელმა ფიდერკევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომისიის თვითეული წევრი იმოქმედებდა ყველა გაერთიანებული ერის სახელით. ფიდერკევიჩმა განაცხადა — შეუწყნარებელია, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უარი სთქვან თავიანთი ძირითადი მოვალეობის — კომისიაში მონაწილეობის შესრულებაზე.

ინდოეთის წარმომადგენელმა ასაფ-ალიმ აზრი გამოსთქვა, რომ სანამ შეეცდებოდნენ კომისიის შემადგენლობის საკითხის გადაწყვეტას, ქვეკომიტეტმა უნდა განიხილოს კომისიის ფუნქციები და რწმუნებანი.

საბჭოთა დელეგატმა ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ, რამდენადაც გაერთიანებულმა ერებმა იკისრეს პასუხისმგებლობა პალესტინის ბედისათვის, არავითარი გამართლება არ არსებობს იმისათვის, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა უარი სთქვან თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე. გრომიკომ აღნიშნა, რომ დიდ სახელმწიფოთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გამო არ შეიძლება მიღებულ იქნას მათი უარი კომისიაში მონაწილეობაზე. საბჭოთა კავშირი, განაცხადა გრომიკომ, სხვა მუდმივ წევრებთან ერთად მზად არის იკისროს პასუხისმგებლობა არა მარტო საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის საქმეში, არამედ ამ გადაწყვეტილების მომზადების საქმეშიც. გრომიკომ უარჰყო არგუმენტი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დიდ სახელმწიფოთა მონაწილეობა უადგილო იქნებოდა, და განაცხადა, არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომ დიდი სახელმწიფოები პალესტინის საკითხის მხრივ ჩაყენებულ იქნან სხვა მდგომარეობაში, ვიდრე სხვა წევრები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამორკვევის ჩამტარებელ კომისიაში დიდ სახელმწიფოთა მონაწილეობა გააადვილებს შეთანხმების მიღწევას და არა შეაფერხებს მას.

გრომიკომ აღნიშნა, რომ, თუმცა არგენტინის წინადადება არსებითად განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციისაგან, რადგან იგი ითვალისწინებს დიდ სახელმწიფოთა მონაწილეობას, საბჭოთა კავშირს არ შეუძლია მიიღოს ამ წინადადების ზოგიერთი ნაწილი, რადგან ისინი ზიანს აყენებენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. მან ხაზგასმით აღნიშნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წვლილი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და მათი დაინტერესებულობა ყველა საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტით. გრომიკომ აღნიშნა, რომ კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას როგორც პოლიტიკური, ისე გეოგრაფიული ფაქტორები, და მხარი დაუჭირა პოლონეთის წინადადებას, იმიტომ რომ ამ წინადადებაში სავსებით გათვალისწინებულია ეს ფაქტორები.

შემდეგ გრომიკომ აზრი გამოსთქვა, რომ სავსებით დამაკმაყოფილებელი საშუალება, რომლის მეშვეობითაც უშიშროების საბჭოს შექმნის მსვლელობაში გათვალისწინებულ იქნა პოლიტიკური და გეოგრაფიული ფაქტორები, პრეცედენტი უნდა იყოს ახლანდელ სიტუაციაში სახელმძღვანელოდ. გრომიკომ გააფრთხილა სხდომა, რომ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები მნიშვნელობას მისცემენ შესაძლო კომბინაციებს და მანევრებს კენჭისყრის დროს, წარმოიშობა საშიშროება საბოლოო შეთანხმების მიღწევისათვის.

გრომიკომ აღნიშნა, რომ იგი უფრო გულახდილად ლაპარაკობდა, ვიდრე ზოგიერთი დელეგატი, რადგან მხედველობაში ჰქონდა ხელი შეეწყო ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტის მიღწევისათვის, რომლის დროსაც დაცულ იქნება საერთო ინტერესები და უგულებელყოფილ არ იქნება ერთი რომელიმე ქვეყნის ინტერესები. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია პალესტინის პრობლემით როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი და როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი. საბჭოთა კავშირს სურს პრობლემის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც შეესაბამება პალესტინის მოსახლეობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა კოსანოვიჩმა განაცხადა, რომ კომისიის შემადგენლობიდან დიდ სახელმწიფოთა გამორიცხვა გადაწყვეტილების გამოტანის გადადებას გამოიწვევდა.

სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა ენდრიუსმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციას.

საფრანგეთის დელეგატმა პაროდიმ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი გაურკვევლობა მოხდა იმის გამო, რომ არ მოხერხდა გამოეყოთ კომისიის შემადგენლობის საკითხის განხილვა კომისიის ფუნქციათა და რწმუნებათა განხილვისაგან.

ერაყის წარმომადგენელი ჯამალი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კომისიის ფუნქციათა და რწმუნებათა განხილვისას განხილულ იქნას პალესტინის დამოუკიდებლობის საკითხი.

თავმჯდომარე პირსონმა გამოაცხადა, რომ მიღებულია არაბთა აღმასრულებელი კომიტეტის დეპეშა, რომელიც იუწყება ამ კომიტეტის თანხმობას გამოვიდეს პოლიტიკური კომიტეტის წინაშე.

უპასუხა რა საფრანგეთის წარმომადგენლის შენიშვნას, პირსონმა წინადადება წამოაყენა უწინარეს ყოვლისა განხილულ იქნას კომისიის ფუნქციები და რწმუნებანი, რა მიზნისთვისაც შეიქმნას სპეციალური ქვეკომიტეტი. ქვეკომიტეტმა უნდა მოამზადოს სამუშაო მოხსენება სხვადასხვა წინადადებათა შესახებ ფუნქციათა და რწმუნებათა დარგში და ანგარიში ჩააბაროს პოლიტიკურ კომიტეტს 9 მაისს საღამოს.

ხანმოკლე განხილვის შემდეგ პოლიტიკურმა კომიტეტმა მოიწონა ქვეკომიტეტის შექმნა შემდეგი თერთმეტი წარმომადგენლისაგან: საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, არგენტინა, ავსტრალია, ჩინეთი, ეგვიპტე, სალვადორი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და კანადა.

ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გრომიკომ შეიტანა წინადადება, რომ პალესტინის საკითხის შემსწავლელმა კომისიამ იმ რეკომენდაციების რიცხვში, რომლებიც გენერალური ასამბლეის მომავალ მორიგ სესიას უნდა წარუდგინოს, შეიტანოს წინადადება პალესტინისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მინიჭების შესახებ. გრომიკომ ეს წინადადება შეიტანა როგორც პალესტინის საკითხის შემსწავლელი მომავალი კომისიის ფუნქციებისა და რწმუნებათა შესახებ რეზოლუციის იმ პროექტის საბჭოთა შესწორების ნაწილი, რომელიც 11 ქვეყნის, მათ შორის დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შემდგარმა ქვეკომიტეტმა წარუდგინა პოლიტიკურ კომიტეტს, როგორც ბაზა 9 მაისის საღამოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დასაწყისში კომიტეტის თავმჯდომარემ პირსონმა გამოაქვეყნა ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი გაერთიანებული წინადადებებისა ფუნქციათა და რწმუნებათა შესახებ, რომლებსაც შეიცავდნენ შეერთებული შტატების, არგენტინისა და სალვადორის წინათ წარმოდგენილი რეზოლუციები. ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტის ტექსტში ნათქვამია:

„1. სპეციალურ კომისიას, როგორც ფაქტების გარკვეულ რეგისტრატორს, უაღრესად ფართო რწმუნებანი უნდა ჰქონდეს. 2. სპეციალურმა კომისიამ ცნობები უნდა მიიღოს ყოველგვარი საშუალებით, რომელსაც კი მოსახერხებლად მიიჩნევს თვითეულ შემთხვევაში, მანდატარი ქვეყნისაგან, პალესტინის მოსახლეობის წარმომადგენელთაგან და სხვა ისეთი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან, რომლებთანაც კომისია მოისურვებს კონსულტირებას. 3. კომისიამ მხედველობაში უნდა იქონიოს ის პრინციპი, რომ პალესტინის მოსახლეობის დამოუკიდებლობა უნდა წარმოადგენდეს საბოლოო მიზანს ყოველი გეგმისას, რომელიც კი ამ ქვეყნის მომავალს ეხება. 4. კომისიამ გენერალურ ასამბლეას უნდა წარუდგინოს მოხსენება, აგრეთვე ის წინადადებანი, რომელთაც იგი საჭიროდ სცნობს პალესტინის პრობლემის გადასაჭრელად. 5. კომისიის მოხსენება გენერალურ მდივანს უნდა გადაეცეს, თუ შესაძლებელია 15 აგვისტოსათვის, და არაუგვიანეს 1 სექტემბრისა, რათა საშუალება მიეცეს დროზე გაავრცელოს იგი ქვეყნების წარმომადგენელთა შორის, რომ მათ შესაძლებლობა ექნეთ ეს მოხსენება განიხილონ მეორე მორიგ სესიაზე. სპეციალურმა კომისიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პალესტინის მთელი მოსახლეობის ინტერესებს, აგრეთვე პალესტინის რელიგიური ჯგუფების ინტერესებს, მუსლიმანების, ებრაელი მოსახლეობისა და ქრისტიანების ინტერესებს".

იმ დროს, როცა თავმჯდომარე კითხულობდა ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილ პროექტს, სამდივნომ გაავრცელა შემდეგი შესწორების ტექსტი, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა პროექტის პირველი სამი პარაგრაფის შესაცვლელად: „ჯერ-ერთი, დაწვრილებით შესწავლილ იქნას პალესტინაში შექმნილი სიტუაცია გამოკვლევის ადგილობრივ ჩატარების გზით. მეორე, ასამბლეამ ანალიზი უნდა გაუკეთოს და ერთმანეთს შეადაროს ყველა ცნობა, რაც კი ამ საკითხს ეხება, მოისმინოს წერილობითი და სიტყვიერი ჩვენებანი დაინტერესებული მთავრობებისა და ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკე პირებისა, რომლებიც მოისურვებენ ჩვენების მიცემას და რომლებსაც კომისია საჭიროდ სცნობს მისცეს სიტყვა; შესწავლილ იქნას პალესტინის პრობლემასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. მესამე, მოამზადოს და გენერალური ასამბლეის მომავალ მორიგ სესიას წარუდგინოს წინადადებანი, რომლებიც ეხებიან პალესტინის პრობლემის გადაჭრას და რომლებსაც კომისია საჭიროდ სცნობს, მათ შორის წინადადება დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს დაუყოვნებლივ შექმნის საკითხზე".

კომისიის ფუნქციათა და რწმუნებათა განხილვის წინ პოლიტიკურმა კომიტეტმა უკამათოდ გადასწყვიტა უარჰყოს ყველა თხოვნა თვალსაზრისის გამოსათქმელად გამოსვლის უფლების მინიჭების შესახებ, გარდა ებრაელთა სააგენტოს და არაბთა აღმასრულებელი კომიტეტის ამას წინათ დადასტურებული თხოვნებისა. ამრიგად, კომიტეტმა ამ საკითხში მხარი დაუჭირა ქვეკომიტეტის მოხსენებას, რომლის სხდომაც გუშინ დილით შესდგა. შემდეგ კომიტეტი გადავიდა პალესტინის საკითხის შემსწავლელი კომისიის ფუნქციათა და რწმუნებათა საკითხის განხილვაზე.

პროცედურის საკითხის განხილვის დროს, როდესაც თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა განხილულ იქნას პროექტი მთლიანად, თუ თვითეული პარაგრაფი ცალცალკე, გრომიკომ პროტესტი განაცხადა იმ „უჩვეულო" წინადადების წინააღმდეგ, რომ მოწონებულ იქნას პუნქტი პუნქტის მიყოლებით, სანამ კომიტეტს არ დაუმთავრებია საერთო განხილვა ან სანამ არ მოუსმენია პალესტინის არაბი მოსახლეობის არცერთი წარმომადგენლისათვის. გრომიკომ განაცხადა, რომ საჭიროა განხილულ იქნას საკითხის არსი, რომელსაც სამუშაო პროექტი შეიცავს. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არა სურდა „საბოლოოდ" მოწონებულ იქნას რომელიმე მუხლი საერთო განხილვის დამთავრებამდე. თავმჯდომარემ დასძინა, რომ მას სურდა მხოლოდ სამუშაო მიეცა კომიტეტისათვის, სანამ არაბთა აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი მოვიდოდეს. გრომიკომ წინადადება შეიტანა შესწყდეს სხდომა არაბთა აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატების მოსვლამდე. მაგრამ სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა ენდრიუსმა სთხოვა გრომიკოს განემარტა საბჭოთა კავშირის შესწორების მიზანი. გრომიკომ უპასუხა, რომ ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი საერთოდ მისაღებია, მაგრამ საბჭოთა კავშირმა შეიტანა შესწორებანი, რათა გაუმჯობესებულ იქნას ეს პროექტი. საბჭოთა დელეგაციის მიერ პირველი პარაგრაფისათვის შეტანილი შესწორების შესახებ გრომიკომ განაცხადა: არა მგონია ვინმემ სადავოდ გახადოს ის ფაქტი, რომ უმჯობესია სიტუაცია შესწავლილ იქნას ადგილობრივ, პალესტინაში, ვიდრე დოკუმენტებს დაეყრდნოთო. შემდეგ გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა შესწორებაში მეორე პარაგრაფი ფაქტებისა და თვალსაზრისების შესწავლის შესახებ იმას როდი მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია განსხვავდება ქვეკომიტეტის სხვა წევრთა პოზიციისაგან, რადგან ეს შესწორება მხოლოდ შეავსებს ქვეკომიტეტის პროექტს. შემდეგ გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციის შესწორების მე-3 პარაგრაფს მიზნად აქვს უფრო კონკრეტული გახადოს ქვეკომიტეტის წინადადება. გრომიკომ აზრი გამოსთქვა, რომ, რამდენადაც საბჭოთა დელეგაცია წინადადებას არ იძლევა, რათა პალესტინის საკითხის შემსწავლელმა კომისიამ მოხსენება მოამზადოს მხოლოდდამხოლოდ პალესტინის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ განხორციელების საკითხზე, ძნელი იქნებოდა არ დაეთანხმებოდით საბჭოთა კავშირის შესწორებას.

გრომიკოს განმარტების შემდეგ ინდოეთის დელეგატმა ასაფ ალიმ და ბოლივიის დელეგატმა პალსამ აზრი გამოსთქვეს, რომ საბჭოთა კავშირის შესწორება შეიძლება შეხამებულ იქნას ქვეკომიტეტის პროექტთან. ასაფ ალიმ დამოუკიდებლობის საკითხზე წამოაყენა ახალი ვარიანტი, რომელშიც ნათქვამია, რომ კომიტეტმა მხედველობაში უნდა იქონიოს პრინციპი, რომ პალესტინის მოსახლეობის დამოუკიდებლობა უპირველესი მიზანი უნდა იქნეს ყოველი გეგმისა, რომელიც პალესტინის მომავალს ეხება. გრომიკომ უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირის შესწორების 1-ლი პარაგრაფი შეიძლება შეეხამოს პროექტს და შეიძლება გაკეთდეს პროექტის მე-2 პარაგრაფის დამატებანი უფრო „ზუსტი" საბჭოთა ვარიანტიდან, მაგრამ ძნელი იქნებოდა პალესტინის დამოუკიდებლობის საკითხზე ორი ვარიანტის შეხამება, რადგან ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი არ უზრუნველჰყოფს პალესტინის საკითხის მალე გადაჭრას. შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კომიტეტი დათანხმდა მოისმინოს ებრაელთა სააგენტოს წარმომადგენლის პოლიტიკურ დირექტორ შერტოკის განცხადება.

შერტოკმა განაცხადა, რომ ებრაელთა იმიგრაცია პალესტინაში წარმოადგენს ძირითად პრობლემას, და ამტკიცებდა, რომ პალესტინის საბოლოო დამოუკიდებლობის საკითხი განუყოფელია იმ მიზნისაგან ებრაელთა ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია მანდატით. შერტოკი ამტკიცებდა, რომ ეს პრობლემა ეხება მთელი მსოფლიოს ებრაელთა ინტერესებს, და განაცხადა, რომ ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილმა პროექტმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ ინტერესებს, თუ დამოუკიდებლობის საკითხს უშუალოდ არ დაუკავშირდა მანდატის საკითხი. შერტოკს კომენტარი არ გაუკეთებია გრომიკოს წინადადებისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ განხორციელების შესახებ.

კოლუმბიის წარმომადგენელმა გონსალეს ფერნანდესმა განაცხადა, რომ ქვეკომიტეტის პროექტი დამოუკიდებლობის შესახებ სავსებით დამაკმაყოფილებელი არ არის, მაგრამ მას უპირატესობა უნდა მიეცეს საბჭოთა ვარიანტის წინაშეო.

შემდეგ ნორვეგიის დელეგატმა მორემ განაცხადა, რომ ებრაელთა იმიგრაციის საკითხი არსებითად დაკავშირებულია პალესტინის პრობლემასთან და რომ, მისი აზრით, ქვეკომიტეტის პროექტი ფუნქციათა და რწმუნებათა შესახებ უნდა შეიცავდეს ამ ევროპელ ებრაელების პრობლემას, რომლებიც უსახლკაროდ დარჩნენ.

მას შემდეგ, რაც ლიბანის წარმომადგენელმა მალიკმა იკითხა, მზად არის თუ არა კადოგანი განაცხადოს, მიიღებს თუ არა ინგლისის მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, კადოგანმა ორჭოფულად უპასუხა, რომ, თუმცა ინგლისი მიესალმება ორივე მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტილებას, საჭიროა კვლავ აღინიშნოს, რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია იკისროს „ერთადერთი პასუხისმგებლობა იმ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელიც მიღებული არ იქნება ორივე მხარის მიერ და რომელსაც ჩვენ ვერ შევარიგებთ ჩვენს შეგნებასთან". კადოგანმა წინადადება მისცა მალიკს შეეკითხოს სხვა წევრებს, გააკეთებენ თუ არა ისინი ასეთ შენიშვნას.

სირიის დელეგატი ელ ჰური გამოვიდა პალესტინაში ებრაელთა იმიგრაციის შესახებ ნორვეგიის წინადადების წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ეს წინადადება არღვევს ლტოლვილთა საქმეების საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებას, რომელიც მოწონებული იყო გენერალური ასამბლეის მიერ და რომელიც კრძალავს სამშობლოს მოკლებულ პირთა დასახლებას, თუ მოცემული ადგილის მცხოვრებთა თანხმობა არ არის. ეგვიპტის წარმომადგენელმა მაჰმუდ-ჰასან-ფაშამ და ერაყის წარმომადგენელმა ჯამალი ფადილმა მხარი დაუჭირეს ელ ჰურის თვალსაზრისს.

შემდეგ თავმჯდომარემ პირსონმა კომიტეტს წარუდგინა არაბთა აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი კატანი, რომელმაც ვრცელ განცხადებაში დაჰგმო ბალფურის (ინგლისის ყოფილი მინისტრის, რომელმაც 1917 წელს გამოაქვეყნა განცხადება ებრაელებისათვის პალესტინაში „ეროვნული კერის" უფლების მინიჭების შესახებ) დეკლარაცია და განაცხადა, რომ ეს დეკლარაცია წარმოადგენს პალესტინის ყველა ახლანდელი სიძნელის ფესვს. კატანმა აღნიშნა, რომ პალესტინის მანდატი უკანონოა, რადგან იგი ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წესდებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, და განაცხადა, რომ კომისიამ უნდა გამოიკვლიოს ბალფურის დეკლარაციისა და მანდატის, აგრეთვე ამ მანდატის საფუძველზე ინგლისის მთავრობის მოვალეობათა კანონიერება. კატანმა აგრეთვე მოითხოვა, რომ მანდატარმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ შეაჩეროს ებრაელთა იმიგრაცია პალესტინაში. კატანმა სთქვა, ბალფურის დეკლარაციამ დაარღვია ინგლისის მთავრობის ვალდებულებანი და შეთანხმებანი არაბებთან, და დასასრულ განაცხადა, რომ არაბი ხალხი თავის მოთხოვნას დამოუკიდებლობის შესახებ ამყარებს არა ინგლისის დაპირებებსა და იურიდიულ არგუმენტებზე, არამედ არაბთა „უდავო უფლებებზე".

კატანის გამოსვლის შემდეგ სხვადასხვა დელეგაციებმა მისცეს მას მთელი რიგი შეკითხვები, რომლებზეც იგი შემდეგში უპასუხებს. ამის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა შესწყვიტა მუშაობა, რომელიც 16 მაისს დილით განახლდება.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა ტრუმენის კანონპროექტი საბერძნეთისა და თურქეთისათვის „დახმარების" გაწევის შესახებ

ვაშინგტონი, 10 მაისი. (საკდესი). 287 ხმის უმრავლესობით 107 ხმის წინააღმდეგ წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა უშესწორებოდ ტრუმენის კანონპროექტი საბერძნეთისა და თურქეთისათვის „დახმარების" გაწევის შესახებ.

კანონპროექტის მიღების სასარგებლოდ ხმა მისცა 127 რესპუბლიკელმა და 160 დემოკრატმა. კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა 93 რესპუბლიკელმა, 13 დემოკრატმა და მუშათა პარტიის 1 წარმომადგენელმა. წინათ ეს კანონპროექტი სენატმა მოიწონა.

კონგრესში შემოსული ათასობით წერილი, სხვადასხვა შეკითხვა, ანკეტები და სხვანი მოწმობენ, რომ ტრუმენის წინადადებამ „საბერძნეთისა და თურქეთისათვის დახმარების" შესახებ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ფართო მასებისა, რომლებიც ამ კანონპროექტს შიშით და შეშფოთებით ეკიდებიან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის მიყენებულ დარტყმად მიაჩნიათ იგი. ძირითადად ფართო მასების ამ დამოკიდებულებით აიხსნება კანონპროექტის წინააღმდეგ პალატაში მიცემული ხმების შედარებით დიდი რიცხვი, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატთა და რესპუბლიკელთა ლიდერები მტკიცედ მოუწოდებდნენ რაც შეიძლება მალე მიეღოთ კანონპროექტი. ამით აიხსნება აგრეთვე, რომ კონგრესმა დიდხანს გააჭიანურა კანონპროექტის მოწონება, რაც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ტრუმენი კონგრესისადმი 12 მარტის თავის მიმართვაში მოუწოდებდა მოეწონებინათ კანონპროექტი არა უგვიანეს 1 აპრილისა. მთავრობამ ვერ შესძლო მიეღწია კანონპროექტის ფართო მხარდაჭერისათვის, მიუხედავად გაძლიერებული საპროპაგანდო კამპანიისა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გაზეთების მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ და რადიომ.

ამას წინათ კანონპროექტის მომხრე მთელმა რიგმა კონსერვატიულმა ჟურნალისტებმა, მათ შორის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტმა რესტონმა, განაცხადეს, რომ კონგრესის წევრთა უმრავლესობა უხალისოდ და სერიოზული ეჭვებით მისცემს ხმას კანონპროექტის მიღების სასარგებლოდ.

წარმომადგენელთა პალატამ დიდი უმრავლესობით უარჰყო კანონპროექტის შესწორების შეტანის ყველა ცდა და მცირე შესწორებაც კი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ მთავრობა „უპირატესობას" უნდა აძლევდეს ომის ვეტერანებს საბერძნეთსა და თურქეთში გასაგზავნად ეკონომიური მისიების წევრთა შერჩევისას. პალატამ სახელობითი კენჭისყრით უარჰყო შესწორება, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ ეკონომიური და არა სამხედრო დახმარების გაწევას, აგრეთვე უარჰყო წინადადება საბერძნეთსა და თურქეთში „საბრძოლო ჯარების" გაგზავნის აკრძალვის შესახებ, თუმცა მთავრობის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ არ აპირებენ გაგზავნონ იქ ასეთი ჯარები. უარყოფილ იქნა აგრეთვე შესწორებანი მარტო საბერძნეთისათვის დახმარების გაწევისა და თურქეთისათვის დახმარების გაწევაზე უარისთქმის შესახებ, საბერძნეთსა და თურქეთში გასაგზავნი სამხედრო მისიების შემადგენლობის 100 კაცამდე შეზღუდვის, ნავარაუდევი დახმარების 400 მილიონი დოლარის ნაცვლად 200 მილიონამდე შემცირების შესახებ.

ასევე უარყოფილ იქნა სხვა შესწორებანი, კერძოდ შესწორებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ, რომ საბერძნეთის მთავრობამ გაათავისუფლოს პოლიტიკური პატიმრები და ერთი წლის განმავლობაში ჩაატაროს საყოველთაო არჩევნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით. უარყოფილ იქნა შესწორებანი, რომლებიც უფლებას აძლევენ პრეზიდენტს შესწყვიტოს დახმარება, თუ იგი გამოარკვევს, რომ მთავრობა, რომელიც დახმარებას იღებს, ხალხის უმრავლესობის სურვილს არ გამოხატავს; შესწორებანი, რომლებიც წინადადებას აძლევენ პრეზიდენტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად გადასცეს საკითხი, ხოლო შემდეგ განახორციელის კანონპროექტის მუხლები, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაწყვეტილებას არ მიიღებს 60 დღის განმავლობაში.

კამათი ისეთ ვითარებაში სწარმოებდა, როცა კანონპროექტის მომხრენი კენჭისყრის დასაჩქარებლად ყველაფერს აკეთებდნენ, რაც კი შესაძლებელი იყო. ასეთი სიჩქარის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად პალატის წევრმა მარკანტონიომ (ნიუ-იორკის მუშათა პარტია) განაცხადა, რომ პალატის მოქმედება „წარმომადგენელთა პალატაში არსებული წესების პაროდიაა". კანონპროექტის მეორე მოწინააღმდეგემ რესპუბლიკელმა სმიტმა (ვისკონსინის შტატი) გამოსთქვა მოსაზრება, რომ პალატა ცდილობს რაც შეიძლება მალე ჩაატაროს კენჭისყრა, რადგან 10 მაისს იწყება ადგილობრივი მარულა და პალატის წევრებს სურთ დაესწრონ ამ მარულას.

პროგრესული წრეების წარმომადგენელმა მარკანტონიომ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განაცხადა, რომ კანონპროექტი ეხმარება მთელი მსოფლიოს ფაშისტებს, და აღნიშნა, რომ მის მომხრეებს არ შეუძლიათ უარჰყონ ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა დარგში უკვე იმუშავა ამ საკითხზე და წარმოადგინა თავისი რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ საბერძნეთის ახლანდელი რეჟიმი თანმიმდევრულად ამბობდა უარს მიეღო გაერთიანებული ერების მიერ რეკომენდებული რეფორმები და ამ უარმა სამოქალაქო ომი გამოიწვია. „საბერძნეთში,—სთქვა მარკანტონიომ,—კომუნიზმზე კი არ არის ლაპარაკი,—საქმე ეხება პურს, მიწას, გადასახადების სამართლიანად გაწერას. საბერძნეთის მთავრობამ არ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციები, რადგან იგი ფაშისტურ რეჟიმს წარმოადგენს. ჩვენ ფულს ვაძლევთ მთავრობას პარტიზანების—კომუნისტებისა და არაკომუნისტების დასახვრეტად, ჩვენ ფულს ვაძლევთ ნაცისტი ფაშისტი კოლაბორაციონისტებისათვის იარაღის შესასყიდად". მარკანტონიომ განაცხადა, რომ პალატა შეცდომას სჩადის კანონპროექტის მოწონებით და აღნიშნა, რომ ამ კანონპროექტისათვის მხარდაჭერა ასუსტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრი რესპუბლიკელი მეროუ (ნიუ-ჰემპშირის შტატი) გამოვიდა საბჭოთა კავშირის „დამშვიდების" წინააღმდეგ. მან მტკიცედ მოითხოვა, რომ კანონპროექტი მიღებული ყოფილიყო „მის შემასუსტებელ" შესწორებათა შეუტანლად. ასეთივე სიტყვები წარმოსთქვეს პალატის მთელმა რიგმა სხვა წევრებმა.

რესპუბლიკელმა ბასბიმ (ილინოისის შტატი) დაჰგმო კანონპროექტი, უწოდა მას „ფანდი, ხმარებული ომის გამოცხადების გამოწვევის მიზნით". თუ კანონპროექტი მოწონებულ იქნა, სთქვა ბასბიმ, ეს კვლავ მოუტანს ჩვენს ქვეყანას რაციონირებასა და შეზღუდვებს. რესპუბლიკელმა რიდმა (ნიუ-იორკის შტატი), რომელიც კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა, განაცხადა, რომ მოთხოვნა „კომუნიზმისათვის გზის გადაღობვისა, კვამლის ფარდას წარმოადგენს". კანონპროექტის მიზანია,—განაგრძო მან,—„აავსოს ზანდუკები ზოგიერთ ექსპორტიორს, რომელთაც საქონლის გაყიდვა სურთ საზღვარგარეთ". კანონპროექტის მეორე მოწინააღმდეგემ დემოკრატმა მორისმა (ოკლახომის შტატი) განაცხადა, რომ წარმომადგენელთა პალატა „მოცულია პროპაგანდით შექმნილი შიშითა და ისტერიით". რესპუბლიკელმა ბენდერმა (ოჰაიოს შტატი), რომელიც აგრეთვე გამოვიდა ამ კანონპროექტის წინააღმდეგ, დაჰგმო „სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროკრატები, რომლებსაც ძალაუფლებამ გონება დაუკარგა" და რომლებიც ცდილობენ დაამყარონ „არაჯანსაღი სამხედრო კავშირი, მშიერთათვის სურსათისა და შიშველთათვის ტანსაცმლის მიწოდების საბაბით". დემოკრატმა სადოვსკიმ (მიჩიგანის შტატი) აგრეთვე მკვეთრად გაილაშქრა კანონპროექტის წინააღმდეგ.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიჟი, 10 მაისი. (საკდესი). 6 მაისს ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი მადაგასკარის ამბების შესახებ მადაგასკარის დეპუტატ კასტელანის ინტერპელაციასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, 29 მარტს მადაგასკარზე არეულობა დაიწყო. ადგილობრივი მკვიდრნი თავს დაესხნენ საფრანგეთის სამხედრო ბანაკ მორამანგას ტანანარივეს ახლოს. მოკლულ იქნა რამდენიმე ფრანგი ოფიცერი და ჯარისკაცი. საფრანგეთის ხელისუფლებმა იხმარეს სამხედრო ხასიათის ღონისძიებანი. მაგრამ დღემდე მადაგასკარზე სისხლისმღვრელი შეტაკებანი გრძელდება საფრანგეთის ჯარებსა და აჯანყებულთა შორის. საფრანგეთის ხელისუფლებმა ბევრნი დააპატიმრეს კუნძულზე. დაპატიმრებულთა შორის არიან ეროვნული კრების დეპუტატები და რესპუბლიკის საბჭოს წევრები, მადაგასკარიდან არჩეულნი. ეროვნულ კრებაში მადაგასკარის საკითხზე გამართული კამათი დამთავრდა 9 მაისს გვიან საღამოს. ინტერპელაციის ავტორი დეპუტატი კასტელანი თავს დაესხა „მადაგასკარის აღორძინებისათვის დემოკრატიული მოძრაობის" პარტიას და ბრალად დასდო მას მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება. კასტელანიმ ბრალად დასდო აგრეთვე საფრანგეთის ხელისუფალთ მადაგასკარზე სისუსტე და უმოქმედობა.

ზღვისიქითა ტერიტორიების საქმეთა მინისტრმა მარიუს მუტემ განაცხადა, რომ არეულობა გამოიწვია „მადაგასკარის აღორძინებისათვის დემოკრატიული მოძრაობის" პარტიის საქმიანობამ, რომელიც აპირებდა კუნძულზე ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. მუტეს სიტყვით, ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდათ პარლამენტის დაპატიმრებულ წევრებს. „პარლამენტის ხუთი წევრი დაპატიმრებულ იქნა, — განაგრძო მუტემ. — მათი დანაშაული დამტკიცებულია. კრებამ უნდა გადასწყვიტოს, დასაბუთებულია თუ არა მოთხოვნა, რომ მათ აეყაროს საპარლამენტო ხელშეუხებლობა".

კოლონიების წარმომადგენელმა ბევრმა დეპუტატმა გააკრიტიკა საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა. მაგალითად, ალჟირის დეპუტატმა ახმედ მეზერნამ განაცხადა, „წლები გადის, კოლონიებში კი იმავე მეთოდებს იყენებენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოლონიური ხალხები, თავისუფლებისათვის რომ იბრძოდნენ, ვერ დათანხმდებიან სხვა ცხოვრებას, გარდა თავისუფალი ცხოვრებისა. არ შეიძლება მტკიცე რამ გავაკეთოთ, თუ მხედველობაში არ მივიღეთ მათი კანონიერი მისწრაფებები". კონსტანტინის დეპუტატმა ბენშენუფმა წინადადება წამოაყენა — არ აჰყარონ მადაგასკარელ დეპუტატებს საპარლამენტო ხელშეუხებლობა და აღნიშნა, ჯერ მადაგასკარზე კომისია უნდა გაიგზავნოს მდგომარეობის გამოსარკვევადო.

ზოგიერთი დეპუტატის აზრით, იმ უცხოელ იმპერიალისტთა ხრიკებმა, რომლებსაც თვალი უჭირავთ მადაგასკარის სიმდიდრეზე, შეასრულეს როლი კუნძულზე მომხდარ სისხლისმღვრელ ამბებში. დეპუტატმა ჟორჟ გოსნამ განაცხადა: „საფრანგეთის კავშირი საფრთხეშია. იგი უცხოელთა სწრაფვის საგანია. საფრანგეთმა თვითმმართველობა უნდა მისცეს ზღვისიქითა ხალხებს და არავის უნდა ანდოს მათი ხელმძღვანელობა".

კამათის დამთავრების შემდეგ ეროვნულმა კრებამ 275 დეპუტატის ხმებით 41-ის წინააღმდეგ (სულ ხმა მისცა 416 კაცმა, კომუნისტებმა თავი შეიკავეს) მიიღო რეზოლუცია, რომელიც ნდობას უცხადებს მთავრობას მის მიერ მადაგასკარზე მიღებული ყველა ღონისძიების საკითხს. ეროვნულმა კრებამ გადასწყვიტა აგრეთვე დააკმაყოფილოს მთავრობის მოთხოვნა მადაგასკარელ დეპუტატთათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის აყრის შესახებ, გარდა ორი მათგანისა, რომლებმაც სასამართლო დევნა განიცადეს მხოლოდ პრესაში გამოსვლისათვის. დასასრულ, ეროვნულმა კრებამ 415 ხმით 199-ის წინააღმდეგ უარჰყო ჟაკ დიუკლოს მიერ წარდგენილი რეზოლუცია მდგომარეობის გამოსარკვევად კუნძულზე კომისიის გაგზავნის შესახებ.

განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკმა სესხი მისცა საფრანგეთს

ვაშინგტონი, 11 მაისი. (საკდესი). რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა გამოაცხადა საფრანგეთისათვის 30 წლის ვადით 250 მილიონი დოლარი სესხის მიცემის შესახებ. სესხი ითვალისწინებს წლიურ 3,25 პროცენტს და დამატებით ერთ პროცენტს ბანკის სასარგებლოდ, როგორც საკომისიო გასაღებს, რასაც განაღდებს საერთო განაკვეთი 4,25 პროცენტამდე აჰყავს. ფული დაიხარჯება საფრანგეთის მრეწველობის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციისათვის მასალისა და მოწყობილობის შესაძენად.

ლუი საიანის დეპეშა ესპანელი მუშებისათვის მხარდაჭერის შესახებ

პარიჟი, 10 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა მსოფლიოს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას, გაერთიანებული ერების ხალხთა ყველა დემოკრატიულ და პროგრესულ ორგანიზაციას დეპეშა გაუგზავნა ბილბაოში მუშათა გაფიცვასთან დაკავშირებით. დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია: „მსოფლიო პროფკავშირული ორგანიზაცია მიესალმება მამაც ბასკ მშრომელთ, რომელნიც თავიანთი არსებობის პირობებისათვის იბრძვიან და რომლებმაც ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციის საპირველმაისო მოწოდებას რწმენითა და ენტუზიაზმით უპასუხეს".

დეპეშა მოითხოვს, რომ „დაუყოვნებლივ იქნას გამოჩენილი საერთაშორისო სოლიდარობა. ყველა ქვეყნის პროფკავშირული და დემოკრატიული ორგანიზაციები პეტიციებსა და სოლიდარობის მანიფესტებს გაუგზავნიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და თავიანთ მთავრობებს, რათა მხარი დაუჭირონ მებრძოლ ბასკებს და ყველა ესპანელ რესპუბლიკელს".

მთავრობის კრიზისი ფინეთში

ჰელსინკი, 11 მაისი. (საკდესი). „ჰელსინგინ სანომატი" ეხება მთავრობის კრიზისს და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ხანგრძლივი და უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ გარდუვალი ხდება ახალი არჩევნების მოწყობა. ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის წრეებში, ისევე, როგორც სხვა პარტიათა წრეებში, იმ აზრის არიან, რომ მთავრობის კრიზისის ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ სეიმის დათხოვნითა და ახალი არჩევნების მოწყობით. ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახალხო დემოკრატები ვერ მოიწონებენ ისეთი დროებითი მთავრობის შექმნას, რომელსაც არ ექნება ნორმალური საქმიანობის წინაპირობები.

„ვაპაა სანა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის წრეებში სრული დამშვიდებით ეკიდებიან ახალი არჩევნების მოწყობას.

„სუომენ სოსიალდემოკრაატი" სწერს, რომ ამჟამად ჯერ კიდევ ძნელია იმის თქმა, თუ რა გზას აირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის კრიზისის გადასაჭრელად.

ახალი პროვოკაციები ალბანეთ-საბერძნეთის საზღვარზე

ტირანა, 10 მაისი. (საკდესი). უკანასკნელ ხანებში ალბანეთ-საბერძნეთის საზღვარზე გახშირდა პროვოკაციის შემთხვევა ბერძენთა მხრივ. მარტო 28 აპრილიდან 7 მაისამდე ბერძენმა მესაზღვრეებმა 4-ჯერ სცადეს ინციდენტი გამოეწვიათ ალბანეთის საზღვარზე, ხოლო საბერძნეთის თვითმფრინავებმა 3-ჯერ დაარღვიეს საზღვარი და ფრინავდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე.

როგორც სჩანს, ალბანეთის ტერიტორიაზე ინციდენტის გამოწვევის ცდების მიზანია განამტკიცოს უშიშროების საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული გადაწყვეტილება, რომ საჭიროა საბერძნეთში იყოს მუდმივი ქვეკომისია საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე არსებული მდგომარეობისათვის თვალყურის სადევნებლად.

საბერძნეთში მოკლეს გენერალი ბაკირჯისი

ათენი, 10 მაისი. (საკდესი). გუშინ კუნძულ იკარიაზე გადასახლებაში მოჰკლეს გენერალი ბაკირჯისი, რომელიც ფაშისტური ოკუპაციის დროს საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი იყო.

ომის დროს ბაკირჯისი სარდლობდა ელასის (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის არმია) დივიზიის ჩრდილოეთ ჯგუფს, აგრეთვე იყო წევრი და თავმჯდომარე პოლიტიკური კომიტეტისა, რომელიც ერთ დროს მთავრობის როლს ასრულებდა გერმანელთაგან განთავისუფლებულ საბერძნეთის რაიონებში. წინა ომებში საბრძოლო დამსახურებისათვის ბაკირჯისი დაჯილდოებული იყო მრავალი ბერძნული და უცხოეთის ორდენით. მაგრამ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ელასის ბრძოლაში მონაწილეობისათვის საბერძნეთის ახლანდელმა მთავრობამ იგი კუნძულზე გადაასახლა.

ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ ბაკირჯისმა თავი მოიკლა. მაგრამ იკარიიდან მოსული ცნობები ეწინააღმდეგება ამ მტკიცებას.

ტრუმენის თხოვნა ასიგნობათა შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოსამსახურეთა „ლოიალობის" გამოსარკვევად

ვაშინგტონი, 9 მაისი. (საკდესი). 9 მაისს ტრუმენმა თხოვნით მიმართა კონგრესს — გადასდოს ახალი საფინანსო წლისათვის, რომელიც 1 ივნისს იწყება, 24.900.000 დოლარი სახელმწიფო მოსამსახურეთა „ლოიალობის" შესამოწმებლად. წარმომადგენელთა პალატაში წარდგენილ თავის განცხადებაში ტრუმენმა აღნიშნა, რომ ამ ასიგნობის საშუალებით განხორციელდება 22 მარტის აღმასრულებელი განკარგულება, რაც ადგენს წესებს, რომლების თანახმადაც სახელმწიფო მოსამსახურეს დაითხოვენ, როგორც კი „საკმარისი საფუძველი" იქნება, რათა ეჭვი მიიტანონ მის ლოიალობაზე ამერიკის შეერთებული შტატებისადმი. თავის განცხადებაში ტრუმენმა აღნიშნა აგრეთვე, რომ „თუ მიღებულ იქნა სახელგამტეხი ინფორმაცია ლოიალობის მხრივ, ფედერალური გამომკვლევი ბიურო სრულ გამოკვლევას მოახდენს და მთელ სახელგამტეხ ინფორმაციას აცნობებს იმ ორგანიზაციას, რომელმაც ესა თუ ის მუშაკი დაიქირავა".

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს განცხადება

ვაშინგტონი, 11 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ განაცხადა, რომ იგი ნიუ-იორკის მანქანათმშენებელ ფირმას „გო პანერას" იყენებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიწისქვეშა სამხედრო ქარხნებისა და საწყობების ასაგები ნაკვეთების გამოსაძებნად.

პანერა ერთ-ერთი ამერიკელი ინჟინერია, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამინისტროს დავალებით გერმანიის მიწისქვეშა სამხედრო ქარხნების გამოკვლევას აწარმოებდა. იგი უხელმძღვანელებს იმ საკითხების შესწავლას, რომლებიც დაკავშირებულია ქარხნებისა და საწყობების მშენებლობასა და ექსპლოატაციასთან იმ შახტებში, რომლებიც სამხედრო სამინისტრომ რვა თვის წინასწარი კვლევის შედეგად ამ მიზნისათვის დასახა.

ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ სუტან შარირის განცხადება

ნიუ-იორკი, 9 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბატავიიდან იუწყება, ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა სუტან შარირმა გუშინ ინტერვიუში მწუხარება გამოსთქვა ინდონეზიისა და ჰოლანდიის მთავრობათა ურთიერთობის ხასიათის გამო და ბრალი დასდო ჰოლანდიელებს, რომ მათ კვლავ მოჰყავთ ინდონეზიაში დამხმარე სამხედრო ძალები, მიუხედავად ჩერიბონის შეთანხმებისა, რომელიც ხელმოწერილია ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ. მან აგრეთვე ბრალი დასდო ჰოლანდიის მთავრობას, რომ იგი აფართოებს განხეთქილებას, სცნობს რა დასავლეთ ბორნეოს ტერიტორიის ავტონომიას რესპუბლიკის მთავრობისათვის ამის შეუტყობინებლად და იქ არჩევნების მოუწყობლად. შარირმა განაცხადა, რომ ჰოლანდიელებმა ნება დართეს სუნდანელი ხალხის პარტიას შეექმნას ბანდუნგში „სუნდანის სახელმწიფო".

სუტან შარირმა აღნიშნა, რომ ჰოლანდიელები იქეზებენ სეპარატისტულ მოძრაობას კუნძულ სუმატრის ახლო მდებარე კუნძულებზე — ბანკასა და ბილიტონზე, რომლებიც იძლევიან კალის მსოფლიო მოპოვების 19 პროცენტს. მან აგრეთვე სთქვა, რომ ჰოლანდიელები თავიანთ პრესას „რესპუბლიკის წინააღმდეგ გალაშქრების" ნებას აძლევენ.

შარირმა ჰოლანდიელებს ბრალად დასდო აგრეთვე, რომ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიმართეს თხოვნით — სესხი მოგვეცით ჰოლანდიის ინდოეთის აღსადგენადო და ამის შესახებ კონსულტაცია არა ჰქონიათ რესპუბლიკის მთავრობასთან.

შარირმა განაცხადა — სუნდანელთა სეპარატისტულ მოძრაობას „დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მას მხარს არ უჭერს სუნდანელი მოსახლეობა", მაგრამ იგი შეიძლება მომავალში გახდეს საბაბი ჰოლანდიელთა სამხედრო ჩარევისა დასავლეთ იავის სუნდანელთა ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს უწევს რესპუბლიკური მთავრობა.

ირანელი დემოკრატების სიკვდილით დასჯა

თეირანი, 10 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ეთელაათის" ცნობით, 7 მაისს თავრიზში სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩეს ირანის აზერბაიჯანის სამი დემოკრატი მოღვაწე — სადეკ ამსარი, დადაშ ტაგი-ზადე და ხარტუნ კარაპეტიანი რეზაიედან.

ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

მიხეილ მარკოზის-ძე ტყემალაძე

ჩვენს რიგებს გამოაკლდა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი მიხეილ მარკოზის-ძე ტყემალაძე.

მ. მ. ტყემალაძე დაიბადა ქ. თბილისში 1891 წელს და აქვე დაამთავრა პირველი კლასიკური გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1915 წელს დაამთავრა. სამი წლის განმავლობაში იყო ექიმად კავკასიის არმიის სამხედრო საველე ლაზარეთში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ 1918 წელს სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა და დაბრუნდა საქართველოში, მუშაობდა თბილისის გუბერნიის ექიმ-ეპიდემიოლოგად. 1920 წლიდან დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტის დიაგნოსტიკურ და საფაკულტეტო თერაპიულ კლინიკაში. 1926 წლიდან არჩეული იყო კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრის ასისტენტად. 1936 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და დოცენტის წოდება. სამედიცინო ინსტიტუტში კითხულობდა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კურსს. 1938 წლიდან მუშაობდა კურორტ წყალტუბოს მთავარ ექიმად.

სამამულო ომის დღეებში მ. ტყემალაძე გაწვეულ იქნა არმიაში და ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ საევაკუაციო ჰოსპიტალს ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ყარაიაში. 1944 წელს არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ იგი კვლავ კურორტ წყალტუბოს მთავარი ექიმია. 1945 წლის ოქტომბერში დაინიშნა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორად.

მიხეილ ტყემალაძე იყო 32 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი უკანასკნელი სადოქტორო ნაშრომი ეხებოდა ფრიად მნიშვნელოვან საკითხს — „სისხლში რადიოემანაციის რაოდენობის ცვლილებები წყალტუბოს აბაზანების გავლენით". სამეცნიერო მუშაობასთან ერთად იგი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა.

მ. ტყემალაძე დაჯილდოებული იყო „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის ნიშნით", მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის", „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

მ. ტყემალაძე იყო საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი.

მ. ტყემალაძის სახით საქართველოს საექიმო საზოგადოებამ და მშრომელებმა დაჰკარგეს ნიჭიერი მეცნიერი მუშაკი და საუკეთესო ადამიანი. მისი ხსოვნა მეგობრებსა და ამხანაგებს შორის დაუვიწყარი იქნება.

ა. ხელიძე, ა. მინდაძე, ი. ფრანგულიანი, ვ. გოკიელი, ბ. ბერაძე, ა. ჩიქვილაძე, ა. ალადაშვილი, კ. ერისთავი, მ. წინამძღვრიშვილი, ნ. ყიფშიძე, ხ. ყიფშიძე, დ. ჯავახიშვილი, დ. იოსელიანი, ა. წულუკიძე, ვ. ანდღულაძე, ვ. ულენტი, პ. ბუაჩიძე, ნ. დემეტრაძე, პ. შუშანია, გ. დიდებულიძე, მ. უგრელიძე, ვ. თოხაძე, გ. ლამბარაშვილი, ნ. ბარკალაია, მ. ზანდუკელი, თ. მამალაძე, ი. ტატიშვილი, ვ. ხაზარაძე, მ. ცხაკაია, ი. ასლანიშვილი, კ. ტყემალაძე, გ. წითლანაძე, შ. ფარჯანაძე, ვ. ჩიქოვანი, მ. ლეჟავა, მ. ნოდია, დ. მიქელაძე, ა. გრიგოლია, ლ. კურსუა, კ. კობახიძე, გ. პონდოევი, ვ. გოგუა, გ. ჩილინგარიშვილი, ნ. ცხომელიძე, ხ. იარალოვი, გ. პირაქაძე, ი. პარმა, ვ. გერსამია, ვოლსკი, ბუზოღლი, მ. ფალავა, ნ. ქუთათელაძე, თ. მელივა.

საქართველოს მოჭადრაკეთა მერვე ჩემპიონატი

ტურნირის ლიდერი სოროკინი, რომელსაც პირველობა თითქმის მოპოვებული ჰქონდა, მეთორმეტე ტურში დამარცხდა. ტურნირის მონაწილეთა შორის აღსანიშნავია ახალგაზრდა მოჭადრაკე, საშუალო სკოლის მოსწავლე ბუსლაევი. იგი საკმაოდ მომზადებულია ჭადრაკის თეორიაში, თამაშობს დინჯად და მოფიქრებულად, იჩენს სიმტკიცეს. უკანასკნელ ტურებში ბუსლაევმა ზედიზედ მოიგო სამი პარტია, ხოლო ამ დღესაც მან გაიმარჯვა ღონღაძესთან. ცინცაძე დამარცხდა მალაშხიასთან, ფირცხალავამ მოუგო გიორგაძეს, შიშოვმა ფხაკაძეს.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ოსტატობის კანდიდატმა ბლაგიძემ მოუგო გაჩეჩილაძეს და, ამრიგად, მიიღო სოროკინის დაწევის გარკვეული შანსები. ცინცაძე დამარცხდა გაჩეჩილაძესთან და სოროკინთან.

შეჯიბრების მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: სოროკინი — 8½, ბლაგიძე — 8, ბუსლაევი—7½, მალაშხია, შიშოვი და ფირცხალავა—7, არუთინოვი — 6½ (1 გად.), ცინცაძე — 6½, გიორგაძე—6, ღონღაძე და ქარსელაძე—5, გაჩეჩილაძე — 3½, აღამალიანი — 3 (1 გად.) და ფხაკაძე — 2½.

ფანმოფარჯიშეთა შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე

15-20 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი მოსკოვში ატარებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებას 1947 წლის პირველობისათვის. საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯორჯაძე, სსრ კავშირის 1946 წლის ჩემპიონები სპორტის ოსტატები: ნ. თაყაიშვილი, მ. ჯუღელი, თ. სანებლიძე და თ. ქოიავა.

მორიგი პრემიერა რუსთაველის თეატრში

რუსთაველის თეატრი მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენებს ჯეიმს გოუსა და არნოლდ დიუსოს პიესას „ღრმა ფესვები". პიესას დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ალექსიძე, მხატვარია დ. თავაძე, კომპოზიტორი — რ. გაბიჩვაძე.

როლებს ასრულებენ: ბრეტი — ვ. კვაჭაძე, ლენგდონ — ვ. დოლიძე, ალეს — თ. თარხნიშვილი, ჯენევრა — მ. ჩხეიძე, ბელი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბაქრაძე, ხანი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. მესხიშვილი, მაქსველ როი — ლ. ყაზაიშვილი, შერიფ-სერიფი — ვ. ქუთათელაძე.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

18 მაისს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ვ. ი. ლენინის ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".**

სემინარს უხელმძღვანელებენ **ამხ. ბიწაძე** ქართულ ენაზე და პროფესორი **აზატიანი** რუსულ ენაზე.

14 მაისს, დილის 9 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: **„ბოლშევიკების ტაქტიკა ხათათბიროში" (ამხანაგ სტალინის თხზულებათა II ტომის მასალების მიხედვით).**

ლექციას წაიკითხავს **ამხ. ვეგეშიძე.**

ს ე მ ი ნ ა რ ი

18 მაისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ვ. ი. ლენინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. ვ. კალაძე.

საქართველოს თერაპევტთა საზოგადოებაში

14 მაისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში (ჩელოქინძელის ქ. № 16) შესდგება საქართველოს თერაპევტთა საზოგადოების მორიგი სხდომა. მოისმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი:

1. დოცენტი გ. მ. მარუაშვილი — ამებიაზის კლინიკა და თერაპია;

2. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დ. პ. სვანიძე—ამებიაზის ეპიდემიოლოგიის საკითხი საქართველოში.

შესვლა თავისუფალია.

კ ი ნ ო ე ბ შ ი

18 მაისს: რუსთაველის სახელობის და „ოქტომბერი" — „ბალეტის სოლისტი"; „კომკავშირელი" — „ბემბი"; „სპარტაკი" — „ტახირი და ზუხრა"; „თბილისი" — „სუვოროვი"; 26 კომისრის სახელობის — „ბრძოლა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა
13 მაისს

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე: საბჭოთა პოეტების ლექსები.

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 17.40 — ფეხბურთის მატჩის ტრანსლაცია ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.30 — კონცერტი ხიჯაკაძის შესრულებით. 20.45 — ამხ. გეევსკის საუბარი თემაზე: „პოლონელი ხალხის უდავო უფლება". 21.05 — კონცერტი. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა: ავალიანის ნოველა „სიყვარული". 23.00 — კონცერტი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 28 მაისს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **შალვა კირილეს-ძე კალანდარიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„1905-1907 წლების რევოლუცია ქუთაისის გუბერნიაში".**

ოფიციალური ოპონენტები: ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პ. გუგუშვილი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. მელქაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1947-48 სასწავლო წლისათვის თბილისის მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებში შემდეგ სპეციალობებზე:

სკოლებში — ფორტეპიანოს და საორკესტრო (სიმებიანი და სასულე ინსტრუმენტების) სპეციალობებზე.

სასწავლებლებში — ფორტეპიანოს, ვოკალური, საორკესტრო (სიმებიანი და სასულე), თეორიულ, საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობებზე.

განცხადების მიღება სკოლებში სწარმოებს 15 მაისამდე. მისაღები გამოცდები 25 მაისიდან.

განცხადების მიღება სასწავლებლებში სწარმოებს 20 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები 25 აგვისტოდან.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება სასწავლო დაწესებულებათა სამდივნოში შემდეგი მისამართით:

1-ლი სკოლა და სასწავლებელი —	ენგელსის ქ. № 14, ტელეფონი № 3-08-02
მე-2 " "	პლეხანოვის პრ. № 166, ტელეფონი № 3-13-46
მე-4 " "	საბჭოს ქ. № 127 ტელეფ. № 3-60-21
მე-5 " "	კოჯრის ქ. № 1 ტელეფ. № 3-63-45
მე-6-7 " "	კალინინის ქ. № 7 ტელეფ. № 3-47-24
მე-8-9 " "	მელიქიშვილის ქ. № 4 ტელეფ. № 3-47-24
მე-10 " "	ვარდის მოედანი № 7, ტელ. № 3-81-03
მუსიკალური სტუდია — ათარბეგოვის ქ.	№ 38, ტელეფონი № 3-46-48

მოქალაქე **ნიკოლოზ დიმიტრის-ძე კაზარკინმა**, მცხოვრებმა ხვამლის ქ. № 10, აღძრა საქმე გორის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე **ჯავაირ აგაბაბის ასულ სალაუყა-კაზარკინასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვლადიმერ დარისპანის-ძე გველესიანმა**, მცხოვრებმა მოსკოვის ქ. № 22, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ქეთევან ვლასას ასულ კვიტაიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ილია შტეინბერგის შვილის ვალიკო შტეინბერგის გარდაცვალებას.

მეუღლე სონია, დები ელენე, თამარ, ძმა არჩილ ოჯახით, დისწული გულნარა იუწყებიან **ილია (ილო) ნიკოლოზის-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან ნინო ცინცაძის მამის **ფილიმონ ცინცაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე კატო, შვილები მარუსია, პანია, თამარ, გიორგი, ალექსანდრე, პეტრე, ივანე, შვილთა ოჯახებით იუწყებიან **დიანოზ ნესტორის-ძე გამყრელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-V სიმღოწოში (ონის რაიონი).

ბოკჩუა, ხუხუნაიშვილი, იბესაძე, წულუკიძე, ყიფშიძე, ქართველიშვილი, ჯიქია, გამყრელიძე, გოგავა, ბეჟაშვილი იუწყებიან ნ. ტყემალაძის ძმის **მიხეილ მარკოზის-ძე ტყემალაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3.80.88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00172